კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი № 3 (12819) | შაბათი, 4 იანვარი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

დღეს მუშაობას იწყებს საქართველოს კომკავშირის XXV ყრილობა

სალამი ყრილობის დელეგატებს!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ახალი წლის ამ პირველ დღეებში ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებიდან და სოფლებიდან თავიანთ ფორუმზე ჩამოვიდნენ საქართველოს კომკავშირის XXV ყრილობის დელეგატები. ჩამოვიდნენ ისინი და თან მოიტანეს ახალგაზრდული მგზნებარება და სიხალისე, შრომისა და შემოქმედების ახალი გეგმები.

ამ სურათზე აღბეჭდილია ყრილობის დელეგატთა ერთი ჯგუფი (მარცხნიდან მარჯვნივ): ბორჯომის წყლის ჩამომსხმელი ქარხნის წყაროების საამქროს უფროსი ზ. შერგელაშვილი, ბათუმის კოფეინის ქარხნის მუშა მ. მანჯგალაძე, ყვარლის საწარმოო სამმართველოს ჭაბუკიანის კოლმეურნეობის წევრი მ. ასანიძე, უფროსი ლეიტენანტი შ. ლოკინი, ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარე მ. თევზაძე, გარდაბნის საწარმოო სამმართველოს კრწანისის სასწავლო-საცდელი მეურნეობის მექანიზატორი ბ. მუხიაშვილი, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი ვ. სახვაძე, ჭიათურის ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს მბიგე ზ. გაფრინდაშვილი, სიღნაღის საწარმოო სამმართველოს საქობოს კოლმეურნეობის კომბაინერი ზ. სპანდერაშვილი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

საქართველოს კომპარტიის მებრძოლი თანაშემწე

დღეს, დიდი შვიდწლედის მეექვსე წლის მეოთხე დღეს, მუშაობას შეუდგება საქართველოს კომკავშირის XXV ყრილობა.

თითქმის ტრადიციად იქცა. უკანასკნელ წლებში ჩვენი რესპუბლიკის კომკავშირის ყრილობები ახალი წლის პირველ თვეებში იმართება. ქალაქისა და სოფლის ახალგაზრდათა ახობით რჩეულნი თავიანთ დიდ ფორუმზე მოდიან ახალი მიზნებითა და ფიქრებით, მომავლის დიდი და ნათელი გეგმებით, სამშობლოს, აღმზრდელ პარტიას უპატაკებენ თავიანთ გამარჯვებებს. ასე იყო 1962 წლის იანვარშიც...

დღესაც ნაყოფიერი შრომისა და შემოქმედების ორი წლის შედეგებით მოდიან თავიანთ მორიგ თავყრილობაზე საქართველოს ჭაბუკები და ქალიშვილები — XXV ყრილობის დელეგატები. მაგრამ რამდენი რამის მთქმელია ეს ორი წელი! ისევე, როგორც მთელი საბჭოთა ახალგაზრდობისათვის, ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდებისათვისაც ეს იყო დიდი შრომისა და შემოქმედების, სწავლისა და ძიების საპასუხისგებლო პერიოდი.

და ამ შრომაში, შენებაში, შემოქმედებაში იქედება მათი ხასიათი, იბადება ახალი და ახალი წარმატებები, იბადებიან ოვით ისინიც — ახალი გმირები, ნოვატორები, შოქურები, რომელთა სახელები ამშვენებენ ჩვენს სახელოვან კომკავშირს.

ქალაქის კომკავშირული ორგანიზაციები პარტიული ორგანიზაციების აქტიური, მებრძოლი თანაშემწენი არიან სახელმწიფო გეგმების ვადამდე შესრულების, პროდუქციის ხარისხის ამაღლების, წარმოების სრულყოფისა და ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის ბრძოლაში. სანაგარიშო პერიოდში ახალგაზრდობის აქტიური მონაწილეობით დაინერგა ბევრი ნაკადური და ავტომატური ხაზი, მოდერნიზებულ იქნა ასობით დაზგა და დანადგარი, შეიქმნა ათობით ახალი მანქანისა და აპარატის ნიმუშები. დიდძალი სახსრები დაუზოგეს სამშობლოს ახალგაზრდა რაციონალიზატორებმა და გამომგონებლებმა.

რესპუბლიკის ახალგაზრდები, თავიანთი უფროსი თაობის წარმომადგენლებთან ერთად, აქტიურად ჩაებნენ „დიდი ქიმიისათვის“ გაჩაღებულ ნაყოფელთაოსახალხო ლაშქრობაში. ამას წინათ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის მიმდინარეობის დღეებში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ რესპუბლიკის პარტიულ, სამეურნეო და პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად გულითადად მიულოცეს კომკავშირულ ორგანიზაციებს სახელოვანი გამარჯვება: კაროლაქტამის — სინთეზური ბოჭკოების, კორდისა და სახალხო მეურნეობისათვის საჭირო სხვა საქონლის მისაღები ძვირფასი ნედლეულის წარმოების, საამქროთა კომპლექსის, აგრეთვე მინერალური სასუქების წარმოების დამატების სიმძლავრეთა ამოშავება. საქართველოს კომკავშირი ახალი ვალდებულებებით შეხვდა ამ საპატიო შეფასებას. კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ფართოდ გააჩაღეს ბრძოლა დეკემბრის პლენუმის გადწყვეტილებათა შესასრულებლად.

მეტად ნაყოფიერი იყო განვლილი ორი წელი რესპუბლიკის სოფლის ახალგაზრდებისთვისაც. ორჯერ ზედიზედ საქართველოს მეჩაიეებმა დაიმახსოვრეს პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმება. ამაში კი დიდი წვლილი მიუძღვის ახალგაზრდობას. მახარაძის რაიონის ახალგაზრდებმა მოკრიფეს 28 ათასი ტონა ფოთოლი, ხოლო ზუგდიდელებმა — 23.125 ტონა.

თავდადებით იშრომეს სიღნაღის, გორის და სხვა საწარმოო სამმართველოთა მეურნეობებში კომკავშირელებმა და ახალგაზრდებმა მარცვლეულის მოსავლიანობის გადიდებისათვის. ბევრ საწარმოო სამმართველოში მრავლად არიან კომკავშირელი შოქურები, რომლებიც ყოველდღიურად ზრდიან ყურძნის, ხილის, ციტრუსების, აბრეშუმის პარკის, მეცხოველეობისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებას.

საოლქო, საქალაქო, რაიონულ, საწარმოო-სამრეწველო ზონებისა და საწარმოო სამმართველოთა კომკავშირულ კონფერენციებზე, რომლებიც ამას წინათ გაიმართა, ხაზი გაესვა იმას, რომ ამ წარმატებებში უდავოდ დიდი როლი შეასრულა კომკავშირული ორგანოების ხელმძღვანელობის გარდაქმნამ საწარმოო პრინციპის მიხედვით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1963 წლის ივნისის პლენუმმა დიდი ამოცანები დაუსახა კომკავშირს, როგორც პარტიის საიმედო თანაშემწეს. რესპუბლიკის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა პლენუმის შემდეგ მნიშვნელოვნად გაუმჯობესეს იდეოლოგიური მუშაობა. ახალგაზრდობის აღზრდა, რომელსაც ისინი პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიური მზრუნველობითა და დახმარებით ეწევიან, უფრო მჭიდროდ დაუკავშირეს ცხოვრებას, კომუნისტური მშენებლობის ამოცანებს. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა კომკავშირული პოლიტგანათლების ქსელში მეცადინეობის ხარისხს, თვალსაჩინო აგიტაციას, სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობას.

დღეს, როცა საქართველოს კომკავშირი თავის ყრილობაზე შეაჯამებს საანგარიშო პერიოდში გაწეულ მუშაობას, იგი აღნიშნავს, რომ ეს მოპოვებული წარმატებები პარტიული ორგანიზაციების, კომუნისტების ყოველდღიური დახმარების, რჩევისა და დარიგების შედეგია, რომ კომკავშირის ძალისა და ძლიერების წყარო მარად იყო, არის და იქნება პარტიული ხელმძღვანელობა.

მაგრამ მოპოვებული წარმატებები კომკავშირულ ორგანიზაციებს როდი აძლევს თვითდამშვიდებისა და თვითკმაყოფილების უფლებას, ეს წარმატებები იმას როდი ნიშნავს, რომ ახალგაზრდობის შრომაში, სწავლასა თუ ყოფაცხოვრებაში ყველაფერი რიგზეა! ბევრ საწარმოში, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი ნაწილი შრომას გაურბის, კომკავშირული ორგანიზაციები ყველგან სათანადოდ ვერ იბრძვიან პროდუქციის წარმოების გადიდებისათვის, შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის. განსაკუთრებით დიდი ნაკლოვანებანია ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში. ზოგიერთი კომკავშირელი თვითონ არღვევს სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს, სჩადის დანაშაულს, ატარებს საბჭოთა ახალგაზრდისათვის უცხო, შეუფერებელ ზნე-ჩვეულებებს. ამ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის შეუნელებელი ბრძოლა — აი კომკავშირული ორგანიზაციების მთავარი საზრუნავი.

დიდი იმედებით, მაგრამ უფრო მეტი მოთხოვნებით გვესტუმრა ახალი, 1964 წელი. იგი მეტად საპასუხისმგებლო ამოცანების წინაშე აყენებს ჩვენი რესპუბლიკის კომკავშირსაც. რა თქმა უნდა, ისევე როგორც წინა წლები, ახალი წელიც ითლ გზას როდი გვპირდება. კარგი მომავალი რომ შექმნა, ეს სუფთა პროსპექტზე სიარული არ არის. ამ კარგი მომავლის აშენების გზაზე ბევრი სირთულე და სიძნელე იქნება. ეჭვი არ არის, რომ საქართველოს კომკავშირი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის მუდმივი ხელმძღვანელობით ახალგაზრდული ენერგიით, ხალისითა და შემართებით იბრძოლებს ახალი, კომუნისტური საზოგადოების ასაშენებლად.

ნ. ს. ხრუშჩოვი და კ. ტ. მაზუროვი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში ჩავიდნენ

ვარშავა, 2 იანვარი. (საკდესი). პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვლადისლავ გომულკასა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის იოზეფ ცირანკევიჩის მოწვევით პოლონეთში არაოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი კ. ტ. მაზუროვი.

საბჭოთა კავშირ-პოლონეთის სახელმწიფო საზღვარზე საპატიო სტუმრებს შეხვდნენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები იგნაცი ლოგა-სოვინსკი და მარშალი მარიან სპიხალსკი, აგრეთვე საბჭოთა კავშირის ელჩი პოლონეთში ა. ბ. არისტოვი.

გდანსკელ ვოგზალში ნ. ს. ხრუშჩოვსა და კ. ტ. მაზუროვს შეხვდნენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვლადისლავ გომულკა, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ალექსანდრე ზაგადსკი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე იოზეფ ცირანკევიჩი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები სტეფანე ენდრიხოვსკი, ზენონ კლიშკო, ედვარდ ოსობი, ადამ რაპაცკი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები ვიტოლდ იაროსინსკი და პოლესლავ იაშჩუკი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მთავრობის წევრები, ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები, თვალსაჩინო პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეები, აგრეთვე პოლონეთში საბჭოთა საელჩოს თანამშრომლები.

მატარებელი ვარშავაში 10 წუთს გაჩერდა. გულითადი შეხვედრისა და მოკლე საუბრის შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვი და კ. ტ. მაზუროვი ვლადისლავ გომულკას, იოზეფ ცირანკევიჩს, ზენონ კლიშკოს, იგნაცი ლოგა-სოვინსკისა და მარიან სპიხალსკის თანხლებით ოლშტინის სავოევოდოში გაემგზავრნენ.

საბჭოთა მთავრობის მეთაურს ახლავს სსრ კავშირის ელჩი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში ა. ბ. არისტოვი.

ნ. ს. ხრუშჩოვისა და ლ. ი. ბრეჟნევის დეპეშა გენერალ ნე ვინისადმი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა გაუგზავნეს დეპეშა გენერალ ნე ვინს რანგუნში. რევოლუციურ საბჭოს, მთავრობასა და ბირმელ ხალხს ისინი გულითადად მიესალმებიან და ულოცავენ ეროვნული დღესასწაულის — ბირმის კავშირის დამოუკიდებლობის მე-16 წლისთავის გამო.

ნ. ს. ხრუშჩოვი და ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნავენ, რომ საბჭოთა ადამიანები დიდად აფასებენ მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, რომელსაც ბირმა ახორციელებს, მის წელილს თანამედროვეობის გადაუდებელი პრობლემების — საყოველთაო და სრული განიარაღების, მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების, კოლონიალიზმის სამარცხვინო სისტემის ლიკვიდაციის პრობლემათა გადაჭრაში. ნ. ს. ხრუშჩოვმა და ლ. ი. ბრეჟნევმა ბირმელ ხალხს უსურვეს შემდგომი წარმატებანი ახალი ცხოვრების მშენებლობაში. (საკდესი).

ქიმიკოსთა შესანიშნავი გამარჯვება

ჭიკაგონ ქიმიურ კომბინატში (ოკისპირეთის სახალხო მეურნეობის საბჭო) კარბამიდის მსხვილი წარმოების ამოქმედებასა და საპროექტო სიმძლავრის ათვისებასთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გულითადად მიეფოცეს კომბინატის მშენებლებს, მემონტაჟეებსა და მუშებს ეს შესანიშნავი გამარჯვება. როგორც აღნიშნულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისასალმებელ წერილში, გადადგმულია დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი იმ გზაზე, რომ განხორციელდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი ჩვენს ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი აღმავლობისათვის მინერალური სასუქების წარმოების გადიდების შესახებ.

მისალმებაში გამოთქმულია რწმენა, რომ ეს მაგალითი მხურვალე მხარდაჭერას და ღირსეულ მიბაძვას ეპოვებს ქიმიური მრეწველობის საწარმოთა ქიმიკოსთა და მშენებელთა მრავალრიცხოვან არმიაში.

გაზეთ „სოვეტონ ირისტონის“ რედაქციას

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ულოცავს გაზეთ „სოვეტონ ირისტონის“ რედაქციის კოლექტივს, მუშა და სოფლის კორესპონდენტებს, მკითხველებს გაზეთის 40 წლისთავს.

ამ წლების მანძილზე გაზეთი „სოვეტონ ირისტონი“ პარტიული ორგანიზაციების ერთგული თანაშემწეა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ეკონომიკისა და კულტურის აყვავებისათვის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში.

საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტისა და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს მებრძოლი ორგანოს დაბადების დღე აღინიშნება საყოველთაო სახალხო პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, რაც გამოწვეულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს რწმენას, რომ „სოვეტონ ირისტონი“ კვლავაც ერთგულად დაიცავს საბჭოთა პრესის სახელოვან ტრადიციებს, იქნება მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი, ყოვლისმძლე იდეების კოლექტიური პროპაგანდისტი, აგიტატორი, ავტონომიური ოლქის მშრომელთა ორგანიზატორი სკკპ XXII ყრილობის, პარტიის ახალი პროგრამის დიად წინასწარდასახულობათა შესრულებისათვის, შვიდწლედის მეექვსე წლის ამოცანათა განხორციელებისათვის ბრძოლაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი დარწმუნებულია, რომ „სოვეტონ ირისტონი“ კვლავაც აღზრდის მშრომელებს საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, ხალხთა მეგობრობისა და ძმობის, ჩვენი საყვარელი სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

გაზეთ „სოვეტონ ირისტონის“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

გაზეთ „სოვეტონ ირისტონის“ პირველი ნომრის გამოსვლის ორმოცი წლისთავთან დაკავშირებით სამხრეთ-ოსეთის საოლქო გაზეთი „სოვეტონ ირისტონი“ დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

ქ. თბილისი. 1963 წლის 29 დეკემბერი.

შრომითი პატაკები

ახალციხის საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვადამდე შეასრულეს ხორცის, რძის, მატყლის, კვერცხის, ტყავ-ხედლეულისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების დამზადების გასული წლის გეგმა.

ხაშურის საწარმოო სამმართველომ წარმატებით შეასრულა ხეხილის ბაღების გაშენების 1963 წლის გეგმა. ბაღები გაშენებულია 683 ჰექტარზე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 675 ჰექტარისა. (საქდესი).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის

ნ. ს. ხრუშჩოვის წერილი

მსოფლიოს ქვეყნების სახელმწიფოთა (მთავრობათა) მეთაურებს

1963 წლის 31 დეკემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა მსოფლიოს ქვეყნების სახელმწიფოთა (მთავრობათა) მეთაურებს გაუგზავნა შემდეგი წერილი:

მოგმართავთ ამ წერილით, რათა თქვენი ყურადღება მივაპყრო ერთ-ერთ პრობლემას, რომელსაც, ჩვენი აზრით, ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს მშვიდობის განმტკიცების საქმისათვის, — სახელმწიფოთა შორის ტერიტორიული დავისა და მისი მოწესრიგების გზების საკითხს.

უწინარეს ყოვლისა მინდა განვმარტო, რატომ აყენებს საბჭოთა მთავრობა ამ საკითხს სწორედ ამ მომენტში, რატომ მიგვაჩნია იგი განსაკუთრებულ აქტუალურ და განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხად.

იმედი მაქვს, დამეთანხმებით, რომ ამჟამად ყველა ადამიანის, მიუხედავად მათი ეროვნებისა და რასისა, მათი პოლიტიკური და რელიგიური მრწამსისა, ყურადღების ცენტრში თვით ცხოვრებამ ულმობლად დააყენა მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების პრობლემა.

მრავალი სახელმწიფოს გაერთიანებულ ღონისძიებათა შედეგად ამ ბოლო დროს მოპოვებულია გარკვეული წარმატებანი საერთაშორისო დაძაბულობის შენელებაში. ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის ხელშეკრულების დადება, რომელაც მხურვალე მოწონებით შეხვდნენ ხალხები, საერთო აზრით, დიდმნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია გადაუდებელ საერთაშორისო ამოცანათა მშვიდობიანი გადაჭრის გზაზე. დადებითად შეხვდნენ ყველანი, ვინც მშვიდობის განმტკიცებას ესწრაფვის, აგრეთვე სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების შეთანხმებას ორბიტაზე ატომური იარაღთა და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღთა აღჭურვილი ობიექტების გაყვანის აკრძალვის შესახებ, რომელიც განმტკიცებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ერთსულოვნად მიღებული რეზოლუციით. ამ ნაბიჯების შედეგად დასაბამი მიეცა კარგ საქმეს და საჭიროა ახლა ეს საქმე შემდგომ განვავითაროთ.

ამ ბოლო თვეებში, როგორც ცნობილია, მთელ რიგ სახელმწიფოთა მთავრობებს შორის მოხდა აზრთა გაზიარება იმის შესახებ, თუ რამდენად შესაძლებელია საერთაშორისო დაძაბულობის შენელების, მშვიდობის განმტკიცების მთელ რიგ შემდგომ ღონისძიებათა განხორციელება. ასეთ ღონისძიებათა შესახებ შეთანხმებების მიღწევა, რა თქმა უნდა, დადებით გავლენას მოახდენდა საერთაშორისო ვითარებაზე. საბჭოთა მთავრობა ითვალისწინებს იმას, რომ გაგრძელდება ძიება შეთანხმებებისა მომწიფებულ საერთაშორისო საკითხებზე.

თუ ჯეროვნად შევაფასებთ იმას, რასაც ატომური საუკუნის რეალობანი ეწოდება, უნდა ვალიაროთ, რომ სახელმწიფო მოღვაწეთა საერთო მოვალეობა, რომელებსაც აკისრიათ დიდი პასუხისმგებლობა მშვიდობის ბედისათვის, ხალხთა მომავლისათვის, ის არის, რომ განახორციელონ კიდევ უფრო რადიკალური ღონისძიებანი, რომელიც აღმოფხვრიან ახალი ომის საშიშროებას.

ცდილობს რა ხელი შეუწყოს ამ დიადი ამოცანის გადაჭრას, საბჭოთა მთავრობამ წამოაყენა წინადადება საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ. ახლა ყველა აღიარებს, რომ ამ წინადადების განხორციელება უზრუნველყოფს ეშმაკრიტად მტკიცე და ურღვევ მშვიდობას. მაგრამ, უბედურება ის არის, რომ როცა საქმე ეხება კონკრეტულ მოლაპარაკებას საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ, შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულების შემუშავებას, ასეთი მოლაპარაკება კი ჯერ-ჯერობით წელი როდია, რომ წარმოიშვა, აღმოჩნდება, რომ ყველა სახელმწიფო როდია მზად პრაქტიკულად იაროს ამ მიმართულებით.

როგორც ჩანს, ამას აქვს თავისი მიზეზები, მაგრამ მე არ ვაპირებ დავიწყო ახლა ამ მიზეზების ანალიზი და მით უმეტეს დავიწყო პოლემიკა ამ საკითხის გამო. მინდა მხოლოდ აღვნიშნო აქ თვით ფაქტი, რომელიც მოწმობს, რომ მოლაპარაკებას საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ პრაქტიკულად არ მოუტანია ჯერჯერობით საგრძნობი შედეგები.

ბრძოლა საყოველთაო და სრული განიარაღების იდეის განხორციელებისთვის, როშელშიც თავისი განსახიერება პოვა ხალხთა ყველაზე სანუკვარმა მისწრაფებებმა, გრძელდება, და იგი გაგრძელდება შეთანხმების მიღწევამდე, მის განხორციელებამდე. საბჭოთა კავშირი, თავის მხრივ, ისევე როგორც წინათ, ყოველ ღონეს ხმარობს და იხმარს იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს მის წარმატებას. ახალი ნაბიჯები ამ მიმართულებით საბჭოთა მთავრობამ გადადგა, როგორც ცნობილია, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XVIII სესიაზე, რომელმაც ახლახან დაამთავრა მუშაობა.

შექმნილ მდგომარეობაზე რომ იმსჯელა, საბჭოთა მთავრობამ გამოიტანა დასკვნა, რომ სახარგებლო იქნება საყოველთაო და სრული განიარაღების ამოცანის გადაჭრაზე დროულრომლად მუშაობის განგრძობასთან ერთად გავაძლიერთ ჩვენი მეცადინეობა სახელმწიფოთა ურთიერთობაში მწვავე უთანხმოებებისა და დაძაბულობის კერების აღმოსაფხვრელად.

ვფიქრობ, თქვენ დამეთანხმებით, რომ თუ შევეცდებით გამოვყოთ ის საკითხები, რომელთა გამო ყველაზე ხშირად წარმოიშვება საშიში უთანხმოებანი სახელმწიფოებს შორის მსოფლიოს სხვადასხვა რაიონში, ეს, უეჭველია, ტერიტორიული დავა, სახელმწიფოთა საზღვრების პრობლემებია, სახელმწიფოთა ურთიერთ ან ცალმხრივი პრეტენზიებია ერთიმეორის ტერიტორიისადმი. აი ის გარემოებანი, რომლებიც ჩვენს წინაშე აყენებენ ამ პრობლემას. ეს აღებულია თვით ცხოვრებიდან, ამას, ვგონებ, არ შეიძლება არ ჩაუფიქრდეთ.

საზღვრების, უფრო ზუსტად ტერიტორიული პრეტენზიებისა და დავის საკითხი, რა თქმა უნდა, ახალი არ არის. იგი არსებობდა კაცობრიობის თითქმის მთელი ისტორიის განმავლობაში და მასთან ზხირად დაკავშირებული იყო მწვავე კონფლიქტები სახელმწიფოთა შორის, ურთიერთუნდობლობა, და მტრობა ხალხთა შორის. სხვისი ტერიტორიების ხელში ჩაგდება დაპყრობითი ომების უცვლელი თანამგზავრი იყო, რომლებსაც წარმოებდა ძველი დროის, შუა საუკუნეებისა და ახალი დროის ბევრი მმართველი. ხოლო რამდენი იყო კოლონიური ომები? მათი მთავარი მიზანიც უცვლელად ის იყო, რომ ხელთ ეგდოთ სხვისი ტერიტორიები, დაემონებინათ სხვა ხალხები, ამას ახლა ვერავინ ვერ უარყოფს, როგორც უნდა, შეენიღბათ თავის დროზე კოლონიზატორებს თავიანთი შავბნელი საქმეები მსჯელობით „ცივილიზატორული მისიის“ შესახებ.

ჩვენს საუკუნეშიც სახელმწიფოთა ტერიტორიულმა პრეტენზიებმა წარმოშვა ბევრი შეიარაღებული კონფლიქტი. ორ მსოფლიო ომში, რომლებიც იმპერიალიზმმა წარმოშვა, მისწრაფებამ სხვისი ტერიტორიების დაპყრობისადმი უდიდესი როლი შეასრულა. ათეულ მილიონობით ადამიანი შეეწირა ომის მოლოხს. იმათმა მისწრაფებამ, ვინც, ერთი მხრივ, კაიზერის გერმანიაში, ხოლო მეორე მხრივ ანტანტის ქვეყნებში, ადგენდა გეგმებს, რომ თავის სასარგებლოდ გადაეკეთებინა ევროპის და არა მარტო ევროპის რუკა, ბიძგი მისცა მოვლენებს, რომლებიც პირველ მსოფლიო ომად გადაიქცა. ჰიტლერული გერმანიისა და აგრესიაში მისი მოკავშირეების პრეტენზიებმა „სასიცოცხლო სივრცისადმი“ სხვა ხალხების ხარჯზე გზა გაუკაფა მეორე მსოფლიო ომს.

მაგრამ თუ სწორია, რომ ტერიტორიულმა პრეტენზიებმა ბევრ შემთხვევაში გამოიწვია ომები და სამხედრო კონფლიქტები, მაშინ ისიც სწორია, რომ ომები, როგორც ტერიტორიული დავის გადაჭრის საშუალება, მუდამ ძალიან ძვირად უჯდებოდათ ხალხებს. საკმარისი იყო ერთ სახელმწიფოს ხელთ ეგდო შეიარაღებული ძალით სხვა სახელმწიფოს სადავო ტერიტორია, რომ ეს უკანასკნელი იწყებდა ახალი ომის მზადებას დაკარგული ტერიტორიის დაბრუნებისათვის. მერე წრე მეორდებოდა. საკმარისია გავიხსენოთ თუნდაც, თუ როგორ გადადიოდა ხელიდან ხელში ელზასი და ლორენი და როგორ იღებდა უხვად სისხლი ამ ტერიტორიების ყოველი ახალი გადასვლის დროს. ტერიტორიისათვის ყოველი ომის შემდეგ სახელმწიფოთა შორის ტერიტორიული დავის სიმწვავე, მეორე კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო ხოლმე, ვიდრე ომამდე.

ბევრი ეს ტერიტორიული დავა მემკვიდრეობით ჩვენს თაობასაც დარჩა. ახლა ასეთი დავა და ურთიერთპრეტენზიები უფრო მეტიც კი გახდა. ეს აიხსნება, კერძოდ, იმით, რომ ბევრ ახალგაზრდა სუვერენულ სახელმწიფოს, რომლებმაც ახლახან მოიპოვეს ეროვნული დამოუკიდებლობა, კოლონიური რეჟიმებისაგან დარჩა ბევრი ხელოვნურად დახლართული სასაზღვრო საქმე. თუ თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკურ რუკას დავხედავთ, შეიძლება აღმოვაჩინოთ ათობით, თუ ასობით არა, რაიონი, რომლებსაც ერთმანეთს ედავება ესა თუ ის სახელმწიფო.

რა თქმა უნდა, ტერიტორიულ პრეტენზიებსა და დავას სახელმწიფოთა შორის ერთნაირი ხასიათი როდი აქვს. მათ შორის არის ისეთები, რომლებიც დაკავშირებულნი კოლონიური უღლისაგან ან უცხოელთა ოკუპაციისაგან ამა თუ იმ ხალხის განთავისუფლების დამთავრებასთან. კარგად არის ცნობილი, რომ ყველა ახალგაზრდა ეროვნულმა სახელმწიფომ როდი მოახერხა ერთბაშად განთავისუფლებისთანავე გაეთავისუფლებინათ კოლონიზატორთა ბატონობისაგან ყველა ტერიტორია, რომლებიც მათ სამართლიანად ეკუთვნით.

უწინარეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ ტაივანი, ეს კუნძული უძველესი დროიდან ჩინეთის სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილია. ამერიკის ჯარების მიერ ტაივანის უკანონო ოკუპაცია უნდა შეწყდეს. კუნძული ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის განუყოფელი ნაწილია და დიდი ხანია შეუერთდებოდა მას, სხვა სახელმწიფო რომ არ ერეოდეს გარედან.

თუ საჭიროა სხვა მაგალითები ამ მხრივ, მათ ყველა ხედავს. ავიღოთ თუნდაც სულ ახალი საქმე — დასავლეთ ირიანის შეერთება ინდონეზიასთან. განთავისუფლებულ სახელმწიფოთა მოთხოვნა იმ ტერიტორიების გადაცემის შესახებ, რომლებიც ჯერ კიდევ არიან კოლონიური უღლის ქვეშ ან უცხოელთა ოკუპაციაში, უთუოდ, საამართლიანია.

ყოველივე ეს სავსებით ეხება, რა თქმა უნდა, იმ ხალხების ტერიტორიებსაც, რომლებსაც საერთოდ ჯერ კიდევ არ მოუპოვებიათ ეროვნული დამოუკიდებლობა და კოლონიების მდგომარეობაში არიან. არ შეიძლება ვცნოთ კოლონიზატორთა განმარტება, რომლებიც ჯერ კიდევ ინარჩუნებენ კოლონიებს და ამტკიცებენ, თითქოს ეს კო-

(დასასრული მე-2 გვერდზე).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის

ნ. ს. ხრუშჩოვის წერილი

მსოფლიოს ქვეყნების სახელმწიფოთა (მთავრობათა) მეთაურებს

(დასასრული)

ლონიური ტერიტორიები მეტროპოლიების ნაწილი იყოს. აქ არ უნდა იყოს რაიმე გაურკვევლობა — ყველა კოლონიური ხალხის განთავისუფლების, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის უფლება, რომელიც გამოცხადებულია აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დეკლარაციაში კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ, არავის არ შეუძლია გახადოს საეჭვო.

მინდა ვთქვა, რომ ყველა იმათი როლი, ვინც გულწრფელად დაინტერესებულია სამარცხვინო კოლონიური სისტემის ლიკვიდაციის უსწრაფესად დამთავრებით, რომლიც ნაშთები ჯერ კიდევ წამლავს ჩვენი პლანეტის ატმოსფეროს, ის არის, რომ დაეხმარონ ამ ხალხებს რაც შეიძლება მალე მოიშორონ კოლონიური უღელი. და რაც უფრო მალე და სრულად გაკეთდება ეს, მით უფრო მეტს მოიგებს მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცების საქმე. ხალხები. რომლებიც ჯერ კიდევ განიცდიან კოლონიურ ჩაგვრას, ცდილობენ თავისუფლება და დამოუკიდებლობა მოიპოვონ მშვიდობიანი საშუალებებით. მაგრამ ყოველთვის როდი საკმარისი ეს საშუალებანი, რადგან ისინი, ვინც დაინტერესებულია იმით, რომ შეინარჩუნოს, სამუდამო გახადოს კოლონიური სისტემის ნაშთები, ხშირად იარაღის ძალით უპასუხებენ კანონიერ მოთხოვნას კოლონიური რეჟიმების ლიკვიდაციის შესახებ. ამ შემთხვევებში ჩაგრულ ხალხებს სხვა არა რჩებათ რა, თუ არა ის, რომ თვითონ აიღონ იარაღი, და ეს მათი წმიდათა წმიდა უფლებაა.

ზუსტად ასევე უნდა მოისპოს სამხედრო ბაზებიც, შექმნილი სხვის ტერიტორიებზე, რომლებიც შეიქმნა ამის სახელმწიფოებს წაართვეს. და ვერავითარი დამოწმება, რომ მიწები, რომლებზეც განლაგებულია ასეთი ბაზები და არიან უცხოეთის ჯარები, ოდესღაც დაუთმეს ამა თუ იმ ხელშეკრულებით ან შეთანხმებით, ვერავის ვერ შეიყვანს შეცდომაში. საიდუმლო როდია, თუ როგორ იდებოდა ერთ დროს ასეთი ხელშეკრულებანი — უფრო ძლიერი თავს აბუევდა თავის ნებას უფრო სუსტს. ახლა კი იმ სახელმწიფოებს, რომლებიც ოდესღაც იძულებული იყვნენ დაეთმოთ თავიანთი ტერიტორიები უცხოეთის ბაზებისათვის, მძიმე ტვირთად აწევთ ეს, მოითხოვენ ბაზების შესახებ ხელშეკრულებათა გაწყვეტას, ამ ტერიტორიების დაბრუნებას, ბაზების ლიკვიდაციას, უცხოეთის ჯარების გაყვანას. ეს სამართლიანი მოთხოვნები უნდა დაკმაყოფილდეს.

არის კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც გარკვეული წილად დაკავშირებულია ტერიტორიულ საკითხთან. — ეს არის გერმანიის, კორეის, ვიეტნამის გაერთიანების პრობლემა. თითოეული ეს ქვეყანა ომისშემდგომ დროს აღმოჩნდა გაყოფილი ორ სხვადასხვა სოციალური სისტემის სახელმწიფოდ. ამ ქვეყნების ხალხთა მისწრაფებას გაერთიანებისაკენ, რა თქმა უნდა, გაგებითა და პატივისცემით უნდა ვხვდებოდეთ. მაგრამ, თავისთავად ცხადია, გაერთიანების საკითხი უნდა გადაჭრან თვით ამ სახელმწიფოთა ხალხებმა და მათმა მთავრობებმა ისე, რომ არ მოხდეს გარეშეთ ჩარევა, და ზემოქმედება, და უეჭველია, უცხოეთის სამხედრო ჩარევა-ოკუპაცია, როგორც ეს, მაგალითად, ფაქტიურად არის ხამხრეთ კორეასა და სამხრეთ ვიეტნამში.

ამ საკითხის გადაჭრისას უარი უნდა ვთქვათ ძალის გამოყენებაზე, საშუალება მივცეთ ამ ქვეყნების ხალხებს გაერთიანების საკითხები გადაჭრან მშვიდობიანი გზით. ყველა სხვა სახელმწიფომ უნდა შეუწყოს ამას ხელი.

მაგრამ ახლა ჩვენი განხილვის საგანია არა ეს საკითხი, არამედ საკითხი იმის შესახებ, რა უნდა მოვუხერხოთ იმ ტერიტორიულ დავასა და პრეტენზიებს, რომლებიც წარმოიშვება სახელმწიფოთა უკვე დამკვიდრებული, დადგენილი საზღვრების გამო. ჯერ გაგერკვეთ ამ დავისა და პრეტენზიების რაობაში.

ასეთ პრეტენზიებს შორის განსაკუთრებულ ჯგუფს შეადგენს ზოგიერთი იმ სახელმწიფოს რევანშისტული წრეების მოთხოვნები, რომლებიც აგრესორები იყვნენ მეორე მსოფლიო ომში. ეს წრეები, რომლებსაც რევანში და შურისგება სწყურიათ წაგებული ომისათვის, ადგენენ სამართლიანი ომისშემდგომი ტერიტორიული მოწესრიგების გადასინჯვის გეგმებს. მათ პირველ რიგში უნდათ ხელთ იგდონ ის ტერიტორიები, რომლებიც სხვა სახელმწიფოებს მიეკუთვნათ აგრესიის შედეგების ლიკვიდაციისა და მომავლისათვის უშიშროების გარანტიების უზრუნველყოფის წესით. ასეთი ტერიტორიული „პრეტენზიები" გადაჭრით უნდა უარვყოთ, როგორც მშვიდობის ინტერესებთან შეუთავსებელი. ამ პრეტენზიებმა შეიძლება მხოლოდ ახალი მსოფლიო ომი გამოიწვიოს.

მაგრამ არის სხვა ტერიტორიული პრეტენზიები და სასაზღვრო დავა, ამასთან ისინი, მგონი, ყველაზე ბევრია. ეს დავა არ არის დაკავშირებული ომისშემდგომ მოწესრიგებასთან. თავიანთ პრეტენზიათა დასასაბუთებლად ამ დავის მონაწილენი აყენებენ აგრუმენტებსა და მოსაზრებებს, რომლებიც ეხება ისტორიის, ეთნოგრაფიის, სისხლით ნათესაობის, რელიგიისა და სხვ. სფეროს. ხშირად ასე ხდება ხოლმე, რომ ერთი სახელმწიფო ასეთი მოსაზრებებით ასაბუთებს თავის ტერიტორიულ პრეტენზიას მეორე სახელმწიფოსადმი, ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, პოულობს სხვა დამამტკიცებელ საბუთებს იმავე სფეროში, მაგრამ სრულიად საწინააღმდეგოს. და თვითონ აყენებს შემხვედრ ტერიტორიულ პრეტენზიას. ამის შედეგად კი ღვივდება ვნებათა ღელვა და ღრმავდება ურთიერთმტრობა.

როგორ გაგერკვეთ, ვის მხარეზეა სიმართლე, ვის უკავია სამართლიანი პოზიცია, ხოლო ვის — უსამართლო? ხშირად ამის გარკვევა ერთობ ძნელია, რადგან ამჟამად არსებული საზღვრები იქმნებოდა მრავალი ფაქტორის გავლენით.

ბევრ შემთხვევაში ისტორიის დამოწმება ვერ შველის საქმეს. ვის შეუძლია ამტკიცოს, რომ XVII საუკუნის დამოწმება, რომელსაც ვთქვათ, აყენებს ერთი სახელმწიფო თავისი ტერიტორიული პრეტენზიის დასაბუთებისათვის, უფრო დამაჯერებელია, ვიდრე ვთქვათ, XVIII ან XIX საუკუნის დამოწმება, რომლის საშუალებით სხვა სახელმწიფო ცდილობს განამტკიცოს თავისი კონტრპრეტენზია? თუ კი საზღვრების საკითხის გადაჭრის საფუძვლად ავიღებთ მთელ ისტორიას მისი რამდენიმე ათასწლეულის მანძილზე, როგორც ჩანს, ყველა დამეთანხმება, რომ ბევრ შემთხვევაში ვერავითარ ნამდვილ გადაჭრას ვერ მოვნახავთ. ჩვენ არ შეგვიძლია დავივიწყოთ აგრეთვე, რომ ისტორიის დამოწმებით ხშირად ნიღბავენ უაღრესად ამკარა აგრესიას, მსგავსად იმისა, როგორც მუსოლინი იმოწმებდა რომის იმპერიის საზღვრებს ხმელთაშუა ზღვის რაიონში ტერიტორიების დაპყრობის დასაბუთებულად, ზღვისა, რომელიც იტალიელმა ფაშისტებმა მონათლეს კიდევაც „მარე ნოსტრუმად", ესე იგი „ჩვენ ზღვად". ამასთან ცდილობდნენ თავი ძველი რომაელების მემკვიდრეებად წარმოეგვინათ.

ძნელია გაერკვე ბევრ „დამამტკიცებელ საბუთში" ეროვნული, ეთნოგრაფიული სფეროდან, სისხლის კავშირის სფეროდან. კაცობრიობის განვითარება ისეთნაირად მიმდინარეობდა, რომ ზოგიერთი ხალხი ახლა ცხოვრობს რამდენიმე სახელმწიფოს ტერიტორიაზე. მეორე მხრივ, არის მრავალეროვნული ტიპის სახელმწიფოები, რომლებშიც ზოგჯერ ცხოვრობს ათობით ხალხი, რომლებიც სხვადასხვა რასასაც კი ეკუთვნიან.

სამწუხაროდ, დავა საზღვრების გამო წარმოებს არა მარტო მეცნიერ-ისტორიკოსებსა და ეთნოგრაფებს შორის, არამედ სახელმწიფოებს შორის, რომლებსაც ჰყავთ შეიარაღებული ძალები და ხშირად არც თუ ისე მცირერიცხოვანი. ცხოვრება გვიჩვენებს, რომ მეტი წილი ტერიტორიული დავა აღსავსეა იმ საშიშროებით, რომ შეიძლება გამოიწვიოს მონაწილეთა ურთიერთობის გართულება, სამხედრო და სეროიზული სამხედრო კონფლიქტი და, მაშასადამე, წარმოადგენს პოტენციური საფრთხეს საყოველთაო მშვიდობისათვის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ისტორიულად დამკვიდრებულ საზღვრებს სათანადო გაგებით უნდა მოვეკიდოთ.

შესაძლოა, მოინახონ ისეთი გულუბრყვილო ადამიანები, რომლებიც იტყვიან, რომ რამდენადაც მეტი წილი ტერიტორიული დავა ეხება იმ პატარა სახელმწიფოების ურთიერთობას, რომლებსაც არა აქვთ ატომური იარაღი, თითქოსდა აქ საშიში არაფერია. დიდი ამბავია, წაეკინკლავებიან, უარეს შემთხვევაში წაეჩხუბებიან ერთმანეთს პატარა ქვეყნები — კაცობრობისათვის ამას დიდი შედეგები არ ექნება.

მაგრამ ასეთი შეხედულებანი არ არის სწორი და მავნეა. განა შეიძლება იყო გულგრილი იმისადმი, რომ სასაზღვრო დავის გამო იღვრებოდეს ხალხთა სისხლი? ამასთან რეალისტები უნდა ვიყოთ ამ საკითხში. ჩვენს დროში, როცა საერთაშორისო ურთიერთობის განვითარებამ გამოიწია ის, რომ სახელმწიფოთა ინტერესები — ეკონომიური, პოლიტიკური, სტრატეგიული და ყოველგვარი სხვა ინტერესები — მჭიდროდ გადაეხლართა ერთმანეთს, როცა არსებობს კავშირების განშტოებული სისტემები, და პირობებში შეტაკებამ, რომელიც რომელიმე ერთ ადგილას მოხდება და, თითქოს, უაღრესად ლოკალური ხასიათი ექნება, შეიძლება ძალიან სწრაფად ჩითრიოს ბევრი სხვა სახელმწიფოც. ამჟამედდება მოკავშირეთა ვალდებულებები, და იმ სხვა სახელმწიფოთა ნამდვილი თუ მოჩეკენებითი შიშიც თავიანთი უშიშროებისათვის, რომელიც ან კონფლიქტის რაიონს ესაზღვრებიან, ან თასობრივი კილომეტრით არიან შორს დაშორებული, და ვთქვათ პირდაპირ, უბრალოდ, ამოქმედდება ზოგიერთი სახელმწიფოს მისწრაფება ისარგებლოს ლოკალური კონფლიქტით თავისი გარკვეული დამპაყრობლური მიზნების მისაღწევად. ამასთან არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ ისიც, რომ ჩვეულებრივი იარაღის გამოყენებით დაწყებული ომები ჩვენს დროში შეიძლება გადაიზარდოს მსოფლიო ომად, რომელშიც გამოიყენებენ თერმოატომურ იარაღს.

ვფიქრობ, დამეთანხმებთნი, რომ მთელი კაცობრობისათვის განსაკუთრებული საფრთხე იქნებოდა შეიარაღებული კონფლიქტი საზღვრების გამო მსოფლიოს იმ რაიონში, სადაც ეწარსულში ორივე მსოფლიო ომი დაიწყო. ხოლო ამჟამად თავმოყრილია ჯარებისა და შეიარაღების დიდი მასები იმ სახელმწიფოებისა, რომლებიც ორ უმთავრეს ერთმანეთისადმი მოწინააღმდეგე სამხედრო დაჯგუფებებს ეკუთვნიან. ასეთი რაიონია ევროპა — ეს სადავო არ არის.

შეიძლება ეჭვი არ ვიქონიოთ, რომ, თუ იმ სახელმწიფოთა ლოკალური შეტაკების გამო, რომლებიც ცდილობენ იარაღის ძალით გადაწყვიტონ თავიანთი ტერიტორიული დავა, მსოფლიო თერმოატომური ომი დაიწყება, მაშინ ეს ომი არავის დაინდობს, ვერავინ შეძლებს გაუმიჯნოს მას. ასეთ პერსპექტივას ვერავინ შეურიგდება, გარდა გიუისა ან სიძულვილით დაბრმავებული პოლიტიკური მოღვაწისა.

მინდა სვსხებთ გარკვეული და მტკიცედ განვაცხადო, რომ საბჭოთა კავშირში ასეთი მოლვაწენი არ არიან, მაგრამ თუ ისინი გამოჩნდებიან, მათ უთუოდ მოათავსებენ საგიჟეთში. სოციალისტური სახელმწიფოების პოლიტიკის ძირითადი კურსი, რომლის მიზანია მშვიდობის განმტკიცება და ომის თავიდან აცილება, სწორედ იმის საწინდარია, რომ ჩვენი მხრივ იარაღს არ გამოვიყენებთ და არც შეიძლება გამოვიყენოთ რაიმე ტერიტორიული დავის ჩვენს სასარგებლოდ გადაწყვეტის მიზნით. ბინდა ვიფიქრო, რომ სხვა ქვეყნების. მათ შორის ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირისა და დასავლეთის სახელმწიფოთა მიერ შექმნილი სხვა სამხედრო ბლოკების მონაწილე ქვეყნების. სახელმწიფო მოღვაწენიც ითვალისწინებენ, თუ რა საშინელ საფრთხესთან არის დაკავშირებული ყოველგვარი ცდა, რომ ამჟამად ძალა გამოიყენონ ტერიტორიული საკითხების გადაჭრისათვის.

ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ძალის გამოყენება ტერიტორიული დავის გადასაჭრელად აო შეეხაბამება არც ერთი ხალხის, არცერთი ქვეყნის ნამდვილ ინტერესებს.

ეს არ შეეხაბამება ევროპის ხალხთა ინტერესებს, რომლებიც იმ ქვეყნებში ცხოვრობენ, სადაც შეიძლება იფიქვის ყოველი მტკაველი მიწა მორწყულია წარსულ ომებში დაღვრილი სისხლით. ეს ხალხები იმისთვის კი არ ჰქმნიდნენ თავიანთი შრომით ეკონომიკას, აშენებდნენ ქარხნებს, ფაბრიკებს, ხნავდნენ მიწას, რომ წინდაუხედავად გადაეშვნენ დამღუპველ სამხედრო ავანტიურებში თავიანთი მეზობლებისათვის ერთი ნაჭერი მიწის წაგლეჯის მიზნით.

და განა აზიის ხალხებისათვის არ არის საშიში ძალის გამოყენება მსოფლიოს ამ ნაწილში დადგენილი სახელმწიფო საზღვრების გადასინჯვის მიზნით? რა თქმა უნდა, ეს მათ არ სჯერდებათ. თვით ახლაც ხომ აზიის სახელმწიფოთა ცხოვრებაზე ფრიად არახელსაყრელ გავლენას ახდენს ის, რომ ზოგიერთ მან სახელმწიფოთა შორის სასაზღვრო კონფლიქტები არსებობს. აზიის კონტინენტის ხალხთა წინაშე დიდი ამოცანებია დასაბული. მათთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ეროვნული ეკონომიკის აღმავლობას. თანამედროვე მრეწველობის საფუძვლების ჩაყრას, სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობაში გარღვევის მიღწევას ისე, რომ იხსნან თავიანთი ქვეყნების მოსახლეობა საუკუნეობრივი სიღატაკისა და გაჭირვებისაგან. ეს უდიდეს ძალებს მოითხოვს და რაც მთავარია, მოითხოვს მშვიდობასა და სიმშვიდეს საზღვრებზე. ახლა, როცა აზიის სახელმწიფოთა შორის არათუ არსებობს, არამედ ზოგჯერ კიდევ მწვავდება სასაზღვრო კონფლიქტები, ისინი იძულებული არიან იყოლიონ და გაზარდონ კიდეც შეიარაღებული ძალები და არაპროდუქტიულად ხარჯონ თავიანთი რესურსები. ვისთვის მოაქვს ამას სარგებლობა? ყოველ შემთხვევაში არა იმ ქვეყნების ხალხებისათვის, რომლებიც კოლონიური ჩაგვრისაგან განთავისუფლდნენ.

ძალიან რთული და დახლართულია აფრიკის სახელმწიფოთა საზღვრების საკითხი, რომელიც კოლონიალიზმის მემკვიდრეობად დარჩა. მაგრამ ტერიტორიული პრობლემების სირთულისა და დახლართულობის მიუხედავად, აფრიკის ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების კონფერენციამ 1963 წლის მაისში მიღებულ აფრიკის ერთობის ორგანიზაციის ქარტაში ერთსულოვნად დაადასტურა, რომ შეუწყნარებელია ტერიტორიულ უთანხმოებათა და დავის გადაწყვეტა აფრიკის სახელმწიფოთა შორის ძალის საშუალებით და საჭიროა ასეთი საკითხების მხოლოდ მშვიდობიანი გზით მოწესრიგება.

აფრიკა ამსხვრევს კოლონიალიზმის უკანასკნელ ბორკილებს. ახალგაზრდა აფრიკის სახელმწიფოებმა ძალიან ბევრი უნდა იშრომოს, რომ აღმოფხვრან კოლონიალიზმის მძიმე შედეგები, მტკიცედ დადგნენ საკუთარ ფეხზე. ამ ამოცანის განხორციელება მთელი ძალებისა და სახსრების დაძაბვას მოითხოვს.

ჩრდილოეთ აფრიკის ამასწინანდელი ამბები არავითარ ეჭვს არ ტოვებს, რომ აფრიკის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა განმტკიცებისა და განვითარების საქმისათვის დიდად საზიანოა, როცა ერთ-ერთი მათგანი მეორის წინააღმდეგ შეიარაღებული ძალის გამოყენების გზას ადგება და ცდილობს დაიკმაყოფილოს თავისი ტერიტორიული მოთხოვნები. არ უნდა დავიიწყოთ ისიც, რომ ტერიტორიული საკითხების გამო აფრიკის ქვეყნებს შორის კონფლიქტები შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს უფრო ძლიერი სახელმწიფოებისათვის, რომლებსაც ჯერ კიდევ არ დაუკარგავთ იმედი, რომ ამა თუ იმ გზით დაიბრუნონ იმის ნაწილი, რაც უკვე დაკარგეს. ხოლო რა ხდება ლათინურ ამერიკაში? ლათინური ამერიკის ზოგიერთი ქვეყანა დღემდე ვერ გამართულა წელში ტერიტორიული დავის ნიადაგზე წარმოშობილ იმ სამხედრო შეტაკებათა შედეგებისაგან, რომლებიც წარსულში მოხდა. საკმარისია გავიხსენოთ პარაგვაის ომი მეზობელ ქვეყნებთან XIX საუკუნის მიწურულში, რომელშიც იმდენი სისხლი დაიღვარა, რომ პარაგვაის მოსახლეობის რიცხვი დღემდე ნაკლებია, ვიდრე ამ ომის წინ იყო. განა ღირს, რომ ლათინური ამერიკის ქვეყნებმა დანა ლესონ ერთმანეთის წინააღმდეგ იმ დროს, როცა შინ აურაცხელი სამუშაო აქვთ?

არც კი ვიცი როგორ შევარჩინო სიტყვები, მაგრამ, მინდა ამხოლუტურად ნათლად გამოვთქვა ჩემი აზრი, რომ ჩამოყალიბებულ სახელმწიფოთა შორის ჩვენს დროში არ არის და არ შეიძლება იყოს ისეთი ტერიტორიული დავა, ისეთი გადაუჭრელი საკითხები საზღვრების შესახებ, რომელთა გადაჭრისათვის დასაშვები იყოს შეიარაღებული ძალის გამოყენება. არა, არ შეიძლება ამის დაშვება და ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ შეუძლებელი გახდეს მოვლენათა ასეთი განვითარება.

შეიძლება იკითხოთ — და მე არ გამოვრიცხავ, რომ თქვენ უკვე დაგებადათ ასეთი კითხვა, — მაშ როგორ, საბჭოთა კავშირი წინადადებას იძლევა ავიღოთ და ხელის ერთი მოსმით გადავუსვათ ხაზი ყველა ტერიტორიულ პრობლემას, რომლებიც სახელმწიფოთა შორის არსებობს, უარი ვთქვათ მათ ასე თუ ისე მოწესრიგებაზე, თითქოს ეს საკითხები სრულიად არ იყოს ბუნებაში? არა, ხაქმე სრულიადაც ასე არ არის. ჩვენ გვესმის, რომ მთელ რიგ სახელმწიფოებს საფუძვლიანი მიზეზები აქვთ თავიანთი პრეტენზიებისათვის. სახელმწიფოთა შორის ყველა ახლანდელ დავაში საზღვრების შესახებ მისი მონაწილეები, რა თქმა უნდა, კარგად უნდა გაერკვნენ, რათა მოაწესრიგონ ეს დავა. ჩვენ მთლიანად ამის მომხრე ვართ. ერთადერთი, რის წინააღმდეგაც ჩვენ ვილაშქრებთ, ეს არის ტერიტორიული დავის სამხედრო მეთოდებით გადაწყვეტა. ეი ამაზე უნდა შევთანხმდეთ, სწორედ ამაზე.

რაც შეეხება ტერიტორიული დავის მოწესრიგების მშვიდობიან საშუალებებს, გამოცდილება მოგვცა სიცხადით გვიჩვენებს, რომ ამ საქმის განხორციელება შესაძლებელია.

თანამედროვე მსოფლიოში სხვადასხვა სოციალური სისტემისა და ფორმის სახელმწიფო ძალაუფლების არსებობაც კი, ხელს ვერ შეუშლის ტერიტორიული პრობლემების მშვიდობიან გადაჭრას, თუ, რა თქმა უნდა, ორივე მხარე გულწრფელად ესწრაფვის ამას. ცხოვრება თვალსაჩინოდ ადასტურებს, რომ ყველა იმ შემთხვევაში, როცა სახელმწიფოები მტკიცედ იცავენ მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებს, იჩენენ კეთილ ნებას, თავშეკავებას და ჯეროვნად ითვალისწინებენ ერომანეთის ინტერესებს, მათ სავსებით შესწევთ უნარი თავი დააღწიონ ისტორიული, ეროვნული, გეოგრაფიული და სხვა ფაქტორების ლაბირინთს და გამოსახონ დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტა.

ბაზგასმით უნდა აღინიშნოს აგრეთვე ისიც, რომ თუ სამხედრო გზა, ესე იგი ძალის გამოყენების გზა არავითარ შემთხვევაში არ იწვევს ტერიტორიული კონფლიქტების აღკვეთას, არამედ ხშირად კიდევაც აღრმავებს და აფართოებს მათ, მაგრამ, მინდა ამ ადგილზე ერთ-ერთ მთავარი სტიმული. დავა სახელმწიფოთა შორის ტერიტორიულ საკითხებზე მასაზრდოებელი გარემოა მილიტარიზმისათვის, ისევე როგორც ვნებათა ღელვის გაღვივებისათვის, რომელთა სპეკულაციას ხალისით ეწევიან ისინი, ვისაც შეუჩერებელი გამალებული შეიარაღება თავისი მოგების ყურადღებიანი ეყენებინ ეს ეს ... ...

საერთაშორისო
ლეკციები, სტატიები, მიმოხილვა
ცხოვრება

ДАМАИМДЕДЕБЕЛИ ДАСАСЧУИСИ

ВАШИНГТОНИ, 3 იანვარი. (საკდესი). მიუხედავად ამისა, რომ აკ უჩვეულოდ ცივი იანვარი დგას, ამერიკის შეერთებულ შტატებში დაჰბერა თბილმა ნიავმა, რომელიც თანდათან ალლობს ხანგრძლივი ცივი ომის წლებში გაჩენილ ყინულის სქელ ფენას, ახლა ამერიკის საზოგადოებრიობა უფრო ოპტიმისტურად შეპყურებს მომავალს, ვიდრე ოდესმე ამ უკანასკნელი წლების მანძილზე.

ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხი ამერიკის იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის სააგენტოს მთავარი მოსკოველი კორესპონდენტის ჯ. შაპიროს კითხვებზე, ხოლო შემდეგ საახალწლო წერილების გაცვლა ნ. ს. ხრუშჩოვსა, ლ. ი. ბრეჟნევსა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ლ. ჯონსონს შორის, გახდა ახალი იმედებისა და ოლოდინის საბაბი, დასახა გზა ახალი კონკრეტული ნაბიჯების გადასადგმელად საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობის განმტკიცებისათვის.

რიცა ნ. ს. ხრუშჩოვი ამბობს, რომ საბჭოთა ხალხი 1964 წელს ეგებება მშვიდობიანი მშენებლობის გრანდიოზული გეგმებით და იმისათვის, რომ „ეს გრანდიოზული გეგმები სინამდვილედ გადაიქცეს, საბჭოთა ადამიანებს მშვიდობა სჭირდებათ", — აცხადებს ამერიკელი მიმომხილველი უოლტერ ლიპმანი, — მე მიმაჩნია, რომ ყველა საფუძველი გვაქვს გვჯეროდეს მისი.

მშვიდობა, ბაზს უსვამს ლიპმანი, ამერიკასაც სჭირდება, თუმცა, როგორც იგი აღნიშნავს, შეერთებულ შტატებში არიან „ძძლავრი ძალები, შესაძლებელია, კონგრესში გაბატონებული ძალებიც კი, რომლებიც მხარს დაუჭერენ თითქმის ყოველგვარ სამხედრო ასიგნებებს, მაგრამ იმის წინააღმდეგნი არიან, რომ სამხედრო ხარჯების შემცირებით დაზოგილი სახსრები გამოიყენონ რაიმე სამოქალაქო მიზნებისათვის, მაგალითად, განათლების გასაუკეთესებლად, ან სიღატაკის წინააღმდეგ საბრძოლველად". ასეთ განწყობილებათა გამო აღნიშნავს ლიპმანი, ამერიკის შეერთებული შტატები „არ არიან საკმარისად მომზადებული იმ შესაძლებლობებისა და პრობლემებისათვის, რომლებიც წამოიჭრება მათ წინაშე, როცა ცივ ომში თბილი დარი დადგება".

„თუ გამოვრიცხავთ რაიმე უგუნურ აქტს, — წინასწარმეტყველებს ვაშინგტონის გაზეთი „ნიუსი", — 1964 წელი შეიძლება ისტორიაში შევიდეს როგორც ცივ ომში დაძაბულობის მნიშვნელოვანი შენელების წელი".

ამერიკის პრესის ასეთი განცხადებანი იშვიათი როდია და ეს ახალი წლის დამაიმედებელი დასაწყისია.

СААХАЛЦЛО ДАРГАЗОГА

ПАВАНА, 2 იანვარი. (საკდესი). პავანაში პრეზიდენტის სასახლეში 1 იანვარს გაიმართა ტრადიციული საახალწლო დარბაზობა, რომელსაც ესწრებოდნენ სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ეროვნული ხელმძღვანელობის პირველი მდივანი, კუბის პრემიერ-მინისტრი ფიდელ კასტრო, რესპუბლიკის პრეზიდენტი ოსვალდო დორტიკოსი, საბჭოთა დელეგაციის მეთაური, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ვ. პოდგორნი, ესპანეთის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე დოლორეს იბარური, კუბის სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ეროვნული ხელმძღვანელობის წევრები, მინისტრები, კუბის საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, საბჭოთა დელეგაციის მეთაური, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ვ. პოდგორნი, რომელიც კუბის რევოლუციის "გამარჯვების მეხუთე წლისთავის აღსანიშნავად დღესასწაულზე ჩამოვიდა, ესპანეთის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე დოლორეს იბარური, სხვა ქვეყნების დელეგაციათა მეთაურები, დიპლომატები, რომლებსაც შეერებილნი მჭუხარე ტაშით შეხვდნენ.

10 საათია, იწყება სამხედრო პარადი. ზეიმოვნად ეფერს მარშების მელოდიები. ტრიბუნის წინ მწუობრი რიგებით ჩაიარეს სხვადასხვა სამხედრო სკოლის მსმენელებმა.

კუბის რევოლუციონერ, ხაზგასმით აღნიშნა შემდეგ ფიდელ კასტრომ, შეიძლება მომხდარიყო ახალ პირობებში, რომლებიც იმ დროს წარმოიშვა მსოფლიოში. ჩვენი რევოლუცია, თქვა მან, ნაწილია მძლავრი მსოფლიო რევოლუციური მოძრაობისა, რომელიც დაიწყო საბჭოთა კავშირის მუშებისა და გლეხების ისტორიული რევოლუციით. რევოლუციის მოედანზე შეკრებილი ხალხი ფიდელ კასტროს ამ სიტყვებს მჭუხარე ტაშით შეხვდა. ასეულ ათასობით კუბელი რამდენიმე წუთის განმავლობაში ერთხმად გაიძახოდა „ფიდელ-ხრუშჩოვ, ჩვენ თქვენთან ვართ"!

ფიდელ კასტრომ შემდეგ აღნიშნა, რომ კუბა ახლა კარგად შეიარაღებულია და შეუძლია წარმატებით იბრძოლოს ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების საუკეთესო ნაწილების წინააღმდეგ. იმპერიალისტებმა იციან აგრეთვე, თქვა მან, რომ კუბელი ხალხი მატრტო არ არის.

შემდეგ ფიდელ კასტრომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ისე, როგორც მთელ მსოფლიოს, კუბას სურს მშვიდობა. მშვიდობა კეთილდღეობა და პროგრესია ყველა ქვეყნისათვის, განსაკუთრებით სოციალისტური ქვეყნებისათვის. ხალხთა უფლებების პატივისცემის საფუძველზე შეგვიძლია მშვიდობით ვიცხოვროთ ყოველ მთავრობასთან, მიუხედავად ამა თუ იმ ქვეყანაში გაბატონებული სოციალური წყობილებისა. მან გამცხადა, რომ კუბა მზად არის სავაჭრო ურთიერთობა დაამყაროს ყველა ქვეყანასთან. ძალიან კმაყოფილი ვართ მიღწეული შედეგებით, თქვა დასასრულ ფიდელ კასტრომ. ჩვენმა რევოლუციამ სახელი გაუთქვა კუბას მთელ მსოფლიოში.

СУДАНИС ЕРОВНУЛИ ДРОЕСАСЧАУЛИ

სუდანის ხალხმა აღნიშნა ეროვნული დღესასწაული — დამოუკიდებლობის მე-8 წლისთავი. ხარტუმში გაიმართა სამხედრო პარადი, სუდანის სხვადასხვა კუთხეში მოეწყო საზეიმო სეირნობა და სახალხო მსვლელობა.

რვა წლის წინათ სუდანმა თავი დააღწია ინგლისის კოლონიალიზმს და დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

სუდანის რესპუბლიკა, რიცა დამოუკიდებელი გახდა, შეუდგა ეკონომიური კოლონიზატორებისაგან მემკვიდრეობად მიღებული ჩამორჩენილობის ლიკვიდაციას. სუდანში ხორციელდება ეკონომიური და სოციალური განვითარების 10-წლიანი გეგმა, რომლის თანახმად აშენდება 260 სამრეწველო ობიექტი, გათავლისწინებულია 60 პროცენტით გაიზარდოს მთლიანი პროდუქცია, 23 პროცენტით გადიდდეს შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე. უკვე ამუშავდა ახალი ჰიდროელექტროსადგურები, შეიქმნა პირუტყვის მოშენებისა და მიწების დამუშავების გაუმჯობესებლის საცდელი მეურნეობანი, აშენდა ახალი სკოლები, საავადმყოფოები.

საბჭოთა საზოგადოებრიობა გულითადად მიესალმება სუდანის ხალხს ზეიმის დღეს, იგი დიდად აფასებს სუდანის მთავრობის ღონისძიებებს თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის, ისევე როგორც პოლიტიკას, რომელსაც იგი ახორციელებს — ნეიტრალიტეტის, სამხედრო ბლოკებში მონაწილეობის მიუღებლობისა და უცხოეთის ბაზებისათვის თავისი ტერიტორიის დაუთმობლობის პოლიტიკას. (საკდესი).

ТАВДАСЛЬБА ГАНИС РЕСПУБЛИКИС ПРЕЗИДЕНТЕБЗЕ

ЛОНДონი, 3 იანვარი. (საკდესი). გუშინ თაეს დაესნენ განის რესპუბლიკის პრეზიდენტს კვამე ნკრუმას. როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი აკრიდან იუწყება, პრეზიდენტს ხუთჯერ ესროლეს. პრეზიდენტი უვნებელი დარჩა. დაჭრეს პრეზიდენტის ერთ-ერთი მცველი, რომელიც მოგვიანებით ჰოსპიტალში გარდაიცვალა.

РАСКИС ПРЕС-КОНФЕРЕНЦИА

ВАШИНГТОНი, 3 იანვარი. საკდესის კორესპონდენტები გ. დერევენსკოვი და მ. საღათელიანი იტყობინებიან:

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა დ. რასკმა გუშინ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ, ამერიკის შეერთებული შტატების აზრით, უახლოესი კონკრეტული საკითხები, რომლებიც შეიძლება მოწესრიგდეს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, ზოგიერთი პრობლემაა, რომლებიც სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ორმხრივ ინტერესებს შეეხება. ეს საკითხები, დასძინა რასკმა, შეიძლება პატარა საკითხებად მოგვეჩვენოს, მაგრამ მათი გადაჭრა სასარგებლო იქნება.

რასკს მხედველობაში ჰქონდა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის ისეთი საკითხები, როგორიც არის, მაგალითად, შეთანხმება პირდაპირი საჰაერო მიმოსვლის გახსნის შესახებ მოსკოვსა და ნიუ-იორკს შორის, საკონსულო კონვენციის დადება, აგრეთვე საბჭოთა კავშირ-ამერიკის ვაჭრობის განვითარება.

შეეხო რა დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო პრობლემებს, სახელმწიფო მდივანმა განაცხადა, რომ ასეთი პრობლემების სიაში ამერიკის შეერთებული შტატებისათვის ერთ-ერთი პირველი პრობლემაა განიარაღება. რასკმა იმედი გამოთქვა, რომ დასავლეთი და აღმოსავლეთი შეძლებენ მიაღწიონ ზოგიერთ შეთანხმებას ამ დარგში, რამდენადაც, ხაზი გაუსვა მან, ორივე მხარე დაინტერესებულია ამით.

რასკმა ეს განცხადება გააკეთა პასუხად საკდესის კორესპონდენტის კითხვისა იმის შესახებ, თუ ამერიკის შეერთებული შტატების აზრით რა კონკრეტული ღონისძიებანი შეიძლება განხორციელდეს უახლოეს მომავალში იმისათვის, რომ შემდგომი ნაბიჯი გადაიდგას საერთაშორისო დაძაბულობის სულ უფრო შენელებისა და აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის სადავო საკითხების მშვიდობიანი გადაჭრის გზაზე.

ამ განცხადებებთან ერთად სახელმწიფო მდივანმა აგრეთვე აღნიშნა, რომ „მშვიდობის პერსპექტივები სავსებით ნათელი როდია" და რომ მთელი მსოფლიოს მშვიდობის უზრუნველყოფისათვის შეერთებულმა შტატებმა უნდა განაგრძონ თავიანთი მეტად მნიშვნელოვანი „სამხედრო ღონისძიებანი".

მშვიდობის პერსპექტივებს, ამტკიცებდა რასკი, თითქოს საფრთხეს უქმნის „საში" სიტუაციები", რომლებიც სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიისა და კუბაში შეიქმნა.

სახელმწიფო მდივანმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები აწარმოებენ ორმხრივ მოლაპარაკებას ლათინური ამერიკის ქვეყნების ზოგიერთ მთავრობასთან, რათა შეიმუშაონ ღონისძიებანი, მიმართული კუბის „ძირგამომთხრელი მოქმედების" წინააღმდეგ.

САХЕЛОВАНИ ЧЛЕБИ

ПАВАНА, 2 იანვარი. (საკდესი). გუშინ დილიდანვე ჰავანის ქუჩები აივსო მანქანების ნაკადებით და ადამიანთა კოლონებით, რომლებიც ხოსე მარტის სახელობის რევოლუციის მოედნისაკენ მიემართებოდნენ. ერთი საათით ადრე ზეიმის დაწყებამდე ვეებერთელა მოედანი და ახლომდებარე ქუჩები ხალხით გაიპეზდა.

ტრიბუნებზე არიან მოპაოული სტუმარი და უცხოთის დელეგაციები, რომლებიც დედამიწის ყველა კუთხიდან ჩამოვიდნენ.

მთავრობის ტრიბუნაზე ადიან სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ეროვნული ხელმძღვანელობის პირველი მდივანი, პრემიერ-მინისტრი ფიდელ კასტრო, კუბის რესპუბლიკის პრეზიდენტი ოსვალდო დორტიკოსი, სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ეროვნული ხელმძღვანელობის წევრები, მინისტრები, კუბის საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, საბჭოთა დელეგაციის მეთაური, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ვ. პოდგორნი, რომელიც კუბის რევოლუციის "გამარჯვების მეხუთე წლისთავის აღსანიშნავად დღესასწაულზე ჩამოვიდა, ესპანეთის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე დოლორეს იბარური, სხვა ქვეყნების დელეგაციათა მეთაურები, დიპლომატები, რომლებსაც შეერებილნი მჭუხარე ტაშით შეხვდნენ.

10 საათია, იწყება სამხედრო პარადი. ზეიმოვნად ეფერს მარშების მელოდიები. ტრიბუნის წინ მწუობრი რიგებით ჩაიარეს სხვადასხვა სამხედრო სკოლის მსმენელებმა.

კუბის რევოლუციონერ, ხაზგასმით აღნიშნა შემდეგ ფიდელ კასტრომ, შეიძლება მომხდარიყო ახალ პირობებში, რომლებიც იმ დროს წარმოიშვა მსოფლიოში. ჩვენი რევოლუცია, თქვა მან, ნაწილია მძლავრი მსოფლიო რევოლუციური მოძრაობისა, რომელიც დაიწყო საბჭოთა კავშირის მუშებისა და გლეხების ისტორიული რევოლუციით. რევოლუციის მოედანზე შეკრებილი ხალხი ფიდელ კასტროს ამ სიტყვებს მჭუხარე ტაშით შეხვდა. ასეულ ათასობით კუბელი რამდენიმე წუთის განმავლობაში ერთხმად გაიძახოდა „ფიდელ-ხრუშჩოვ, ჩვენ თქვენთან ვართ"!

ფიდელ კასტრომ შემდეგ აღნიშნა, რომ კუბა ახლა კარგად შეიარაღებულია და შეუძლია წარმატებით იბრძოლოს ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების საუკეთესო ნაწილების წინააღმდეგ. იმპერიალისტებმა იციან აგრეთვე, თქვა მან, რომ კუბელი ხალხი მატრტო არ არის.

შემდეგ ფიდელ კასტრომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ისე, როგორც მთელ მსოფლიოს, კუბას სურს მშვიდობა. მშვიდობა კეთილდღეობა და პროგრესია ყველა ქვეყნისათვის, განსაკუთრებით სოციალისტური ქვეყნებისათვის. ხალხთა უფლებების პატივისცემის საფუძველზე შეგვიძლია მშვიდობით ვიცხოვროთ ყოველ

ამერიკის შეერთებული შტატები ამტკიცებენ, რომ დაკლულ ფრინველზე „საერთო ბაზრის" ექვსი ქვეყნის მიერ ტარიფების გადიდებით გამოწვეულმა ზარალმა 46 მილიონი დოლარი შეადგინა. ამ გაერთიანების წარმომადგენლები 19 მილიონ დოლარს ასახელებენ. საკითხი განსახილველად გადაეცა გატტ-ს (საერთო შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ).

(გაზეთებიდან).

— რა დაგემართა?
— გავხდი. ზოგი ამბობს, რომ 46 მილიონი დავიკელი, ზოგი კი — 19 მილიონიო.

3. ტიმოკის ნახატი, რომელიც გამოქვეყნებულია რუმინულ გაზეთ „აბერარია პატრიეიში".

ИНГЛИСИС АПИРЕБС ШЕИНАРЧУНЕБС САМХЕДРО БАЗЕБИ КИПРОСЗЕ

ЛОНДონი, 2 იანვარი. (საკდესი). ინგლისის დღევანდელი გაზეთები ხაზს უსვამენ ინგლისის გადაწყვეტილებას შეინარჩუნოს თავისი სამხედრო ბაზები კვიპროსში მიუხედავად იმისა, რომ ეს არსურს კვიპროსის მთავრობას.

პრეზიდენტ მაკარიოსის განცხადებას, რომ მისი მთავრობა იბრძოლებს ციურიხ-ლონდონის კაბალურ შეთანხმებათა გაუქმებისათვის, მეტად მძაფრად შეხვდნენ. როგორც „დეილი ტელეგრაფი" იუწყება, ამ განცხადებამ „თითქმის პანიკა გამოიწვია ლონდონის, ათენისა და ანკარის დიპლომატიურ წრეებში".

მას შემდეგ, რაც გუშინ 600 ინგლისელი ჯარისკაცი გაიგზავნა კვიპროსში, დღეს იუწყებიან, რომ უახლოეს 36 საათში გასაგზავნად მზადდება დამატებით 800 პარაშუტისტი ინგლისის ბაზების განსამტკიცებლად კვიპროსში.

ამ ქვეგანაყოფების გაგზავნის მიზეზს ოფიციალურად განმარტავს გაზეთ „დეილი ექსპრესის" სამხედრო მიმომხილველი, რომელიც წერს, რომ ინგლისის მთავრობა აპირებს შეინარჩუნოს ინგლისის ბაზები კვიპროსში ძალის დახმარებით, თუ ეს საჭირო იქნება.

ХРУЩОВИС ПРОБЛЕМЕБЗЕ

ლონდონი, 3 იანვარი. (საკდესი). გუშინ კვიპროსის მთავრობამ გამოაცხადა, რომ იგი დაეთანხმა ინგლისის, თურქეთისა და საბერძნეთის წინადადებას უახლოეს ხანში ლონდონში მოიწვიონ კონფერენცია კვიპროსის პრობლემებზე და მონაწილეობა მიიღოს კონფერენციაში, ნიკოზიიდან (კვიპროსი) იტყობინება რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი.

კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებენ ინგლისის, თურქეთის, საბერძნეთის, აგრეთვე კვიპროსის ბერძენთა და თურქთა თემების წარმომადგენლები.

ИНГЛИСИ ГАНАГРДЕБС ЖАРЕБИС ГАДАЧУЧАНАС КИПРОСШИ

ნიუ-იორკი, 3 იანვარი. (საკდესი). ინგლისს კვლავ გადაუყავს მაშველი ჯარი კვიპროსში. როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტო იუწყება, დღეს კვიპროსში გადაიყვანენ ინგლისის შეიარაღებული ძალების კონტინგენტს — სულ 1000 კაცს.

ინგლისელ ჯარისკაცებთან და ოფიცრებთან ერთად კვიპროსში გაიგზავნება 40 ტონა საომარი აღჭურვილობა, აგრეთვე 30 ავტომანქანა და ვერტმფრინავი.

ХРУЩОВИС ПРЕС-КОНФЕРЕНЦИА

ნიკოზია, 3 იანვარი. საკდესის კორესპონდენტი ნ. სემიონოვი და „პრავდის" კორესპონდენტი ნ. ბრაგინი იტყობინებიან:

გუშინ ნატოს ქვეყნებმა ახალი ზეგავლენა მოახდინეს კვიპროსის რესპუბლიკის მთავრობაზე, რათა აიძულონ იგი უარი თქვას და არ სთხოვოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ძალადაკარგულად ცნოს ხელშეკრულებანი გარანტიებისა და კავშირების შესახებ.

როგორც გამოირკვა, ინგლისის ერთა თანამეგობრობისა და კოლონიების საქმეთა მინისტრი სენდისი შეხვდა პრეზიდენტ მაკარიოსს და ხანგრძლივი მოლაპარაკება ჰქონდა მასთან. ინფორმაციის სამსახურის წარმომადგენელმა უცხოელ ჟურნალისტებს გაუცხადა, რომ პრეს-კონფერენცია, რომლის მოწყობასაც აპირებდა სენდისი მაკარიოსთან მოლაპარაკების შედეგების შესახებ, გაურკვეველი დროით გადაიდო.

გუშინ პრეზიდენტის სასახლეში მიმდინარეობდა ახალი მოლაპარაკება, რომელშიც მაკარიოსისა და სენდისის გარდა მონაწილეობა მიიღეს თურქეთისა და საბერძნეთის ელჩებმა. აქ განაცხადეს, რომ ცდილობენ აიძულონ მაკარიოსი დათანხმდეს „გარანტი" ქვეყნების — ინგლისის, თურქეთისა და საბერძნეთის, აგრეთვე კუნძულის ბერძენთა და თურქთა თემების წარმომადგენლების კონფერენციის მოწვევაზე.

როგორც ფიქრობენ, ამ კონფერენციაზე აპირებენ კვიპროსის რესპუბლიკა შებოჭონ ახალი კაბალური შეთანხმებებით.

МДГОМАРЕОБА КВЛАВ ДАЛАГУЛИА

ნიკოზია, 2 იანვარი. (საკდესი). იმ დროს, როცა მაკარიოსის მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობს ნიკოზიაში მდგომარეობის ნორმალიზაციისა და რესპუბლიკის სუვერენული უფლებების დაცვისათვის, თურქმა თემის ტერორისტული ორგანიზაციების ხელმძღვანელები კვლავ აღვიძებენ ტერროს ბერძენ — კვიპროსელების მიმართ და აწყობენ ახალ შეიარაღებულ შეტაკებებს.

დღეს აქ ოფიციალურად გამოცხადებულია, რომ სოფელ ლემბასში (პაფოსის რაიონში) ერთმანეთის სროლა აუტეხეს თურქმა ტერორისტებმა და ბერძნებმა. არა ერთგზის გაისმოდა სროლა აგრეთვე ნიკოზიის გარეუბანში — ამორფიტუში.

მწარე ხვედრი ხვდა კვიპროსის დედაქალაქის სომეხ მოსახლეობას, რომელიც ქალაქის თურქულ ნაწილში ცხოვრობს. ერთი კვირის მანძილზე ისინი იძულებული არიან დაიმალონ თავიანთ სახლებში, რადგან აღმოჩნდნენ შეიარაღებულ შეტაკებათა ცენტრში. სომხებს არა აქვთ კვების პროდუქტები, ბევრი მათგანი ახლა ტოვებს თავის საცხოვრებელს, რომელთა ნაწილი გაძარცვეს.

იმ ღონისძიებებს, რომლებიც განახორციელა ინგლისის სარდლობამ კვიპროსში ცეცხლის შეწყვეტისა და წესრიგის აღდგენისათვის, აქამდე ეფექტიანი შედეგი არ მოჰყოლია, და მდგომარეობა კვლავ მოუწესრიგებელი რჩება.

НАТОС САГАХЛ ГАИНИШНИЛЗЕ КИПРОСИС МДГОМАРЕОБАС

პარიზი, 3 იანვარი. (საკდესი). გუშინ აქ გაიმართა ნატოს მუდმივი საბჭოს საგანგებო სხდომა, რომელზეც განიხილეს კვიპროსის მდგომარეობა. სხდომაზე, რომელიც მოწვეულია საბერძნეთის მთავრობის თხოვნით, გამოვიდნენ საბერძნეთის, თურქეთისა და ინგლისის წარმომადგენლები. მათი გამოსვლების შემდეგ საბჭომ შეწყვიტა სხდომა ისე, რომ არავითარი გადაწყვეტილება არ მიუღია.

ЛЕКСИКОНИ

АКАДЕМИКОСს И. А. КАИРОВИС 70 წლისთავის გამო

ПЕДАГОГИКУРИ საზოგადოებრიობა დღეს დიდი სიყვარულით აღნიშნავს რუსული პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, გამოჩენილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, სოციალისტური შრომის გმირის, დოქტორისა და პროფესორის ივანე ანდრიას-ძე კაიროვის დაბადების 70 წლისთავსა და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წლისთავს.

კეთილშობილ მსოფლიოში არ არის ცოტად თუ ბევრად ცნობიერი მოღვაწე სახელო ანდრიას-ძე კაიროვის სახელი არ გაეგოს. საბჭოთა პედაგოგიკის აქტუალურ პრობლემებზე თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობით, მოავალრიცხოვანი მეცნიერულ შრომებით, რუსეთსა და ევროპაში საკარო გამოსვლებით მან უაღრესად დიდი ავტორიტეტი მოიპოვა როგორც მეცნიერმა-მკვლევარმა, აღმზრდელმა-პედაგოგმა, საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწემ.

ივანე ანდრიას-ძე კაიროვის სამშობლო ქალაქი რიაზანია, სადაც იგი 1893 წელს დაიბადა. მამა წვრილი დუდა — სოფლის მასწავლებელი. უთუოდ დედამ იქონია პედაგოგიური გავლენა თავის გრძნობიერ შვილზე, რომელსაც ბავშვობიდანვე შეეტყო, რომ ყველგან და ყველაფერში ადამიანების, სიმართლის, ეუშმარტების სიყვარული ამოძრავებდა. ეს ჰუმანური თვისებები, რასაც შემდეგ თან დაერთო გონივრულად გაბარებული, დაუღალავი შრომა, კაიროვის მუდმივი თანმხლები შეიქნა მთელი მისი ცხოვრების მანძილზე.

რიაზანის ეაყთა პირველი კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, 1914 წლიდან ი. ა. კაიროვი სწავლობს მოსკოვის უნივერსიტეტში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილებაზე. თეორიულ სწავლებას, მეცნიერების პრობლემატიკის დამუშავებას იგი ათავსებს რევოლუციურ მოღვაწეობასთან, აქტიურ მონაწილეობას იღებს არსებულ წინააღმდეგ სტუდენტთა გამოსვლებში, რაც იმით მთავრდება, რომ ჯერ კიდევ ჰაბუკი, 1917 წლის აპრილში კომუნისტური პარტიის წევრი ხდება.

მოსკოვის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იწყება ი. ა. კაიროვის ფართო საზოგადოებრივ-პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობა. პროფესიული განათლების პრაქტიკული გამოყენება, პარალელურად პედაგოგიკურ მეცნიერებაში კვლევა-ძიება ახალგაზრდა მკვლევარს საშუალებას აძლევს აკადემიური ცოდნა მთლიანად მოახმაროს ისეთი განსაკუთრებული დარგის შექმნას, როგორიც აგრონომიული პედაგოგიკაა. მისი ინიციატივით და აქტიური მონაწილეობით არსდება აგრომედაგოგიკური ინსტიტუტი, რომლის დირექტორად და პედაგოგიკის კათედრის გამგედ ი. ა. კაიროვი თორმეტი წლის მანძილზე დაუღალავად მუშაობდა. შემდეგ, 30-იან წლებში, ჩვენ მას ვხედავთ მოსკოვის სახელმწიფო პედაგოგიკური ინსტიტუტისა და ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის პედაგოგიკის კათედრების გამგედ. 1929 წელს ივანე ანდრიას-ძე კაიროვს მიენიჭა პროფესორის წოდება, ხოლო 1935 წელს მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.

მაღალი მეცნიერული რანგი ი. ა. კაიროვს იმის საფუძველად არ გაუხდია, რომ მარტოოდენ თეორიულ პედაგოგიკაში ემუშავა. პირიქით, ზოგადი პედაგოგიკის პრობლემათა კვლევა-ძიება მან ორგანულად დაუკავშირა სკოლის პრაქტიკულ ამოცანებს. სავსებით კლასიკოსი პედაგოგების მსგავსად, მუშაობდა მოსკოვის ერთ-ერთი სკოლის დირექტორად, კლასის ხელმძღვანელადაც, პარალელურად ასწავლიდა დედაქალაქის სხვა ორ სკოლაში, რათა პედაგოგიკის თეორიული პრობლემების ანალიზი მჭიდროდ დაეკავშირებინა მოსწავლეთა აღზრდის ცოცხალი პრაქტიკისათვის. მთელი რვა წლის მანძილზე, 1942 წლიდან ი. ა. კაიროვი რედაქტორობდა სამეცნიერო-პედაგოგიკურ ჟურნალს — „სოვეტსკაია პედაგოგიკა".

როგორც მთელი ჩვენი პედაგოგიური საზოგადოებრიობის, ისე ი. ა. კაიროვის პირად ცხოვრებაში დიდი მოვლენა იყო რუსეთის პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიის დაარსება. 1943 წელს იგი იყო აკადემიის დამაარსებელი საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, 1944 წელს აირჩიეს აკადემიის ნამდვილ წევრად და მის პირველ ვიცე-პრეზიდენტად. ორი წლის შემდეგ, როცა უფროოდ გარდაიცვალა აკადემიის პირველი პრეზიდენტი აკადემიკოსი ვ. პ. პოტიომკინი, მის ადგილზე, 1946 წელს, პრეზიდენტად ერთხმად აირჩიეს აკადემიკოსი ი. ა. კაიროვი. მას შემდეგ, ყოველი სამი წლის განმავლობაში, ჩვენს პრეზიდენტს დღემდე ირჩევენ ამ დიდ პოსტზე და უცხადებენ ნდობას — უშუალოდ ხელმძღვანელობდეს საბჭოთა პედაგოგიკური მეცნიერების განვითარებას.

ამიტომ განსაკუთრებით შეიძლებოდა ხაზგასმულიყო ერთი ფრიად საყურადღებო მომენტი: ჩვენი პრეზიდენტი შესანიშნავად ათავსებს ყოველდღიურ მუშაობაში რევოლუციამდელი რუსული მოწინავე პედაგოგიური აზრის (უშინსკი, კოროფი, ვოდოვოზოვი, ბუნაკოვი) თეორიულ-პრაქტიკულ და თანამედროვე საბჭოთა დიდაქტიკის (მაკარენკო) მიღწევებს. მაგრამ ეს ერთი მხარეა. რევოლუციურ-დემოკრატიული პედაგოგიკა (ბელინსკი, გერცენი, ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი) ოყოველთვის იყო მისი ინტერესის საგანი, როგორც ევროპული დიდაქტიკის ისეთი ვებული, ღრმა მკვლევარი, რომელსაც პედაგოგიკური თეორიის პრინციპები შეგრძედებითად გამოუყენებია მისთვის კარგად ცნობილი აღმზრდელობითის პრაქტიკაში.

МЕЦНИЕРИ, ПЕДАГОГИ

ასეთ მეცნიერ-მკვლევარად გვევლინება ჩვენი პრეზიდენტი 1939 წელს გამოცემულ „პედაგოგიკის სახელმძღვანელოში", რომლის შექმნას ავტორთა კოლექტივთან ერთად და რედაქტორად ცალს მან დიდი ენერგია მოახმარა.

მიუხედავად ხანდაზმულობისა, ი. ა. კაიროვი დაუღალავად მუშაობს სკოლა-საბორატორიების, სკოლა-ინტერნატების, სახალხო განათლების სისტემის რეორგანიზაციის პრობლემებზე, სპეციალურ ნაშრომებს აქვეყნებს მორალური აღზრდის საკითხებზე, ფ. ნ. პეტროვთან ერთად სცემს ოთხტომიან პედაგოგიკურ ენციკლოპედიას, აგრეთვე გამოსაცემად ამზადებს საოჯახო აღზრდის ენციკლოპედიას.

ი. ა. კაიროვი არაერთგზის იყო არჩეული სსრ კავშირისა და რსფსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატად, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატად, საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის საპარლამენტო ჯგუფის თავმჯდომარედ და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საპარლამენტო ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილედ.

ხანგრძლივმა მოღვაწეობამ სახალხო განათლების დარგში აკადემიკოს ი. ა. კაიროვს დიდი ავტორიტეტი მოუპოვა. მას ყოველთვის მიმართავენ საბჭოთა რესპუბლიკების განათლების მუშაკები რჩევა-დარიგებისა და დახმარებისათვის. სახელოვანმა იუბილარმა არაერთხელ გაუწია დახმარება საქართველოს სკოლებს, ქართული პედაგოგიკური მეცნიერების მუშაკებს, ხელი შეუწყო მათს აღზრდას და პროფესიულ წრთობას.

თავმდაბალი, პრინციპული, შრომისმოყვარე, ობიექტური, სულით დემოკრატი და ჰუმანისტი — ასეთ მოღვაწედ იცნობენ ჩვენს პრეზიდენტს მისი მრავალრიცხოვანი მოწაფეები და კოლეგები. მათ სიხარულს დღეს ჩვენც ვუერთდებით და სახელოვან იუბილარს ვუსურვებთ ახალ წარმატებებს საბჭოთა პედაგოგიკის სასახელოდ.

ВИОРგი ЖИВЛАძე.
რსფსრ პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი.



1940 წელს მოსკოვში გაიხსნა ი. გოგებაშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო გამოფენა. მხატვარ დ. ვოლგინის ამ სურათზე აღბეჭდილია რსფსრ პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის ახლანდელი პრეზიდენტი, სოციალისტური შრომის გმირი ი. ა. კაიროვი (მარცხნივ) და რსფსრ განათლების მაშინდელი მინისტრი ვ. პ. პოტიომკინი ი. გოგებაშვილის „დედა ენის" გამოცემების დათვალიერების დროს. (ნახატი გამოფენილია საქართველოს სსრ პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში).

ფოტორეპროდუქცია გ. სანაიასი.

ფ ი ქ რ ე ბ ი
პრემიერის შემდეგ

თბილისის საოპერო თეატრმა ამას წინათ მაყურებელს უჩვენა გიუტანო დონიცეტის ოპერა **„ლუჩია დი ლამერმური“**. ამ ნაწარმოებმა თავის დროზე ავტორს მსოფლიო სახელი მოუხვეჭა. „ლუჩიას“ დიდი მოწონება ჰქონდა ჩვენშიც მას შემდეგ, რაც თბილისში, 1851 წელს, საოპერო თეატრი გაიხსნა. იტალიური საოპერო მუსიკის გენიის ჯუზეპე ვერდის სამოღვაწეო ასპარეზზე გაბოსტლის შემდეგ დონიცეტის, ისევე როგორც მისი თანამედროვე საოპერო კომპოზიტორის ვინჩენცო ბელინის ოპერებმა დაკარგეს აქტიურები მხატვრული მნიშვნელობა და ვერდის დიდების ჩრდილში მოექცნენ.

მაშ რით იყო გამოწვეული „ლუჩიას“ გამოტანა ჩვენი საოპერო თეატრის სცენაზე? რამდენად გამართლებულია ამ ოპერის დადგმა დღეს, როდესაც თანამედროვე მაყურებლის მხატვრული გემოვნება და ესთეტიკური მოთხოვნილებანი განუზომლად მაღალია, ვიდრე ეს ერთი საუკუნის წინათ იყო? ამ კითხვებზე პასუხს გავცემთ. ახლა კი, რახან ფაქტის წინაშე ვდგავართ, არ შეიძლება მოკლედ მაინც არ აღვნიშნოთ ამ დადგმის ღირსება-ნაკლოვანებანი.

თბილისის თეატრმა არაერთხელ აღუთქვა მაყურებელს „ლუჩიას“ დადგმა. მაგრამ „გადიოდა დრო, დაპირება დაპირებად რჩებოდა. ესეც კარგი, რომ თეატრმა დაგვიანებით, მაგრამ მაინც პირნათლად შეასრულა თავისი დაპირება.

„ლუჩია“ იმ ოპერათა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა ძირითად დამახასიათებელ თვისებას ვოკალური პარტიების მღერადობა შეადგენს. სწორედ ამ მღერადობით, ლამაზი, დახვეწილი, ფართო სუნთქვაზე აგებული მელოდიურობით (ე. წ. ბელ კანტო) გამოირჩევა ძველი იტალიური ოპერები. ამას გარდა მათ ახასიათებთ მეტად გავითარებული ვოკალური ტექნიკა, რთული გამისებური პასაჟები, ფიორიტურები, სხვადასხვა სახის მელოდიური ჩუქურთმები, გამომსახველი რეჩიტატივები და ა. შ. სწორედ ეს გარემოებანი ართულებდა „ლუჩიასებური“ ოპერების სრულფასოვან ვოკალურ-სცენურ განხორციელებას. ამიტომ მაღალი შეფასების ღირსნი არიან ამ სპექტაკლის მონაწილენი, რომელთაც დაძლიეს წმინდა ვოკალური სიძნელენი და ამ, საკმაოდ მოძველებულ, საოპერო ნაწარმოებს ახალგაზრდული სული შთაბერეს.

ამ მხრივ, პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია ცენტრალური როლის — ლუჩიას შემსრულებელი, ნიჭიერი მომღერალი ქალი ნათელა ტუღუში. მისთვის არაერთხელ მოგვისმენია სხვა ოპერებშიც. მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ამ როლის დიდ ვოკალურ სირთულეთა დაძლევა აშკარად მოწმობს მომღერლის ბრწყინვალე წარმატებას. რამდენადაც პირველ გამოსვლაში ნ. ტუღუშს ეტყობოდა მომეტებული მღელვარება, იმდენად მეორე სპექტაკლში იგი უფრო თავისუფლად გრძნობდა თავს სცენაზე, დაიმორჩილა ხმაც, რომელიც ამჯერად უფრო მეტი სილაღით, სიმკვეთრით და ემოციურობით ეფინებოდა დარბაზს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ლუჩიას ცენტრალური სცენა და არია ბოლო მოქმედებაში.

ლუჩიას მეგობარი ქალის — ალისას პატარა როლში თ. გურგენიძემ მეტად სასიამოვნო ტემბრის კარგად დაყენებული ხმა გამოავლინა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახალგაზრდა მომღერალი, რომელსაც ხელს უწყობს ვოკალური და სცენური მონაცემები, ახლო მომავალში გვასიამოვნებს რთული პარტიების ჯეროვანი შესრულებით.

ვაჟთა შემადგენლობიდან მკვეთრად გამოირჩეოდა გამოცდილი საოპერო მომღერლისა და მსახიობის ბათუ კრავეიშვილის მიერ ოსტატურად გამძღერწილი ჰენრიხის მხატვრული სახე. შეუპოვარი, უფლების მოყვარული, მძლავრი ნებისყოფის მქონე, პატივმოყვარე და თავისი დის — ლუჩიას მიმართაც დაუნდობელი ლორდი ჰენრიხ ასტონი — ასეთია ბ. კრავეიშვილის მიერ წარმოდგენილი ეს პერსონაჟი, რომელიც უახლოდება შექ-

კარლო კუკულაძის დეკორაციული გაფორმება, რომელშიც კარგად არის დაცული მოქმედების ადგილისა და დროის კოლორიტი. მაგრამ შეიძლება დავა გამოიწვიოს სცენის პირქუშმა განათებამ, რაც უფრო ვალტერ სკოტის „ლამერმურელ საპატარძლოს“ შეეფერება, ვიდრე დონიცეტის „ლუჩიას“ ხათელ და ძირითადად მაჟორულ ტონებში გააზრებულ მუსიკას.

მთელი სპექტაკლის სულისჩამდგმელ და მთორგანიზებელ ძალად გეეელიხება დირიჟორი ოდისეი დიმიტრიადი. იშვიათი სიფაქიზით და დახვეწილობით ეკრა ორკესტრი, რომლის შემადგენლობიან გამოირჩეოდნენ საპასუხისმგებლო სოლო პარტიების შემსრულებლები მამია ანანიანი (ფლეიტა) და ზაქარია ფურცხვანიძე (არფა).

სპექტაკლი დამთავრდა. დამსწრეთა უმრავლესობას სიამოვნების ღიმილი უკრთოდა სახეზე. მართლაც, ბევრისათვის მეტად საინტერესო იყო გაცნობა იმისა, თუ რას წარმოადგენდა ერთი საუკუნის წინათ პოპულარული ოპერა. მაგრამ განა ამით განისაზღვრება დედაქალაქის საოპერო თეატრის დანიშნულება? ათობით შეიძლება დავასახელოთ ოპერები, რომლებიც არა მარტო დონიცეტის დროს, არამედ უფრო ადრეც დიდი წარმატებით იდგმებოდა სცენაზე. მაგრამ მათი დადგმა დღეს იმ ძემთხვევაში იქნებოდა გამართლებული, თეატრს დაძლეული რომ ჰქონდეს ვაგნერის და მის შემდგომ თაობათა საოპერო კომპოზიტორების ურთულეს ნაწარმოებთა დადგმის სიძნელენი.

ცნობილია, რომ თეატრის რეპერტუარი კარგად განსაზღვრავს მის შემოქმედებით სახეს. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი პირველ ყოვლისა უნდა წარმოადგენდეს ეროვნულ, ქართულ თეატრს. მისი რეპერტუარი, დადგმათა თავისებურება, შესრულების მანერა უნდა მოწმობდეს თეატრის სპექტაკლების ეროვნულ თავისებურებას. ჩვენ ხშირად ვამბობთ, სრულფასოვანი ქართული საბჭოთა ოპერები არ გვგაჩნიაო. მაგრამ როცა კომპოზიტორი შექმნის ასეთ ოპერას, — ორ-სამჯერ მოვასმენინებთ ამ მაყურებელს და მერე დიდი ხნის განმავლობაში აღარ იდგმება.

დღეს ყველაზე აქტიური, გადაუდებელი პრობლემაა თანამედროვეობის თემაზე აგებული საოპერო და სბალეტო ნაწარმოებების შექმნა. ამ პროცესში თეატრმა არ შეიძლება დაიკავოს ნეიტრალური პოზიცია ან ელოდოს, როდის მიარბენენ მას სრულფასოვან საბჭოთა საოპერო და სბალეტო ქმნილებებს, როგორც თბილისის, ისე სხვა წამყვანი საოპერო თეატრების პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ ძხოლოდ მაშინ იქნება ამ მხრივ მიღწეული სათანადო შედეგები, როდესაც თეატრის ხელმძღვანელობა და მთელი შემოქმედებითი კოლექტივი იმუშავებს კომპოზიტორებთან ერთად ამ ამოცანის გადაწყვეტაზე.

რუსულ საოპერო და სბალეტო კლასიკას აუცილებლად უნდა ჰქონდეს დამობილი საპატიო ადგილი თეატრის რეპერტუარში. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს რომ წლიდან წლამდე იდგმებოდეს ერთი და იგივე ოპერები და ბალეტები. საბალო მდგომარეობაშია მომმე საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებთა დადგმის საკითხიც. ჩვენს სცენაზე არ დადგმულა არც ს. პროკოფიევის, არც დ. შოსტაკოვიჩის, არც სხვა თანამედროვე სომეს, აზერბაიჯანელ, უკრაინელ ან ბალტიისპირეთის კომპოზიტორთა ოპერები და ბალეტები, მაშინ როდესაც, ეთქვათ, შოსტაკოვიჩის „კატერინა იზმაილოვა“ იდგმება უცხოეთის ბევრ საოპერო სცენაზე. ს. პროკოფიევმა თავისი ბალეტებით და ოპერებით ხომ მთელი მსოფლიო დაიპყრო, მაგრამ ვერ იქნა და ჩვენში ფეხი ვერ მოიკიდა.

დღევანდელი დღე სულ სხვაა არა მარტო ომიხდარი სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიური გარდაქმნების მხრივ, არამედ მაყურებელთა ფართო მასების მხატვრული გემოვნების, მათი ესთეტიკური მოთხოვნილების დონის ამაღლების თვალსაზრისითაც.

არავინ იტყვის იმას, რომ „ლუჩიას“ ან მსგავს ოპერათა მუსიკა უხარისხოა ან ავტორის ვოკალური ხელოვნება დაბალ საფეხურზეა, მაგრამ დავას არ იწვევს ისიც, რომ ასეთ ოპერათა მოდუნებული მუსიკალური დრამატურგია, მუსიკალური სახეების მიამიტობა და გულუბრყვილობა დღეს, უკეთეს შემთხვევაში, შეფუნარებლობით ღიმილს იწვევს. დღეს აკეთრად შეიცვალა დროის, ცხოვრების მაჯისცემის გაგება და შეგრძნობა. უშედეგოდ არ ჩაუვლია იმ დიდ სოციალურ ძვრებს, ცხოვრების იმ მძაფრ დაძაბულობას, რაც საბჭოთა ხალხმა სოციალიზმის მშენებლობის, სამამულო ომის და ომის შემდგომ პერიოდში განიცადა. ამიტომ არის, რომ თანამედროვე მაყურებელს აღარ იზიდავს და არ აღელვებს საოპერო და სბალეტო ნაწარმოებები, რომლებიც მოკლებული არიან თემატიკის აქტუალობას, ფსიქოლოგიურად დაძაბულ სცენურ სიტუაციებს, გამომსახველ საშუალებათა სიახლეს, ძველი ჟანრებისადმი გაბედულ, ნოვატორულ მიდგომას.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ თბილისის საოპერო თეატრის რეპერტუარი ღარიბად გამოიყურება. ამიტომ თეატრის უპირველესი ამოცანაა რეპერტუარის გაფართოება, გადახალისება.

სერიოზულად დგას საკითხი შემსრულებელთა კადრების ხარისხის შესახებ. რაოდენობის მხრივ ყოველივე რიგზეა. რაც შეეხება არტისტულ ძალთა მხატვრულ ხარისხს, ამ მხრივ მდგომარეობა არცთუ ისე სახარბიელოა, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება გვეჩვენოს. საოპერო და სბალეტო დასი მნიშვნელოვან გადახალისებას მოითხოვს. დროა ბოლო მოეღოს ამ საკითხში უადგილო ლიბერალიზმს, „შებრალებას“, კომპრომისებს. ეს არ ნიშნავს იმას, რომ თეატრის ხელმძღვანელობამ ერთბაშად მოუსვას ხელი ძველ, გამოცდილ მუშაკებს და მათი სამუშაოდან განთავისუფლების ან პენსიაზე გადასვლის ბრძანება სასამსახურო გასასვლელში მორიგის მეთოდით აცხობოს. არსებობს ბევრნაირი ფორმა ასეთ ადამიანთა ღვაწლის ღირსეულად დაფასებისა. მაგრამ თავადვია ჯანსაღი, რეალური პერსპექტივების, მქონე ახალგაზრდა კადრებით თეატრის დასის შევსება, მათდამი მაღალი და უკომპრომისო მოთხოვნების წაყენება, შემდგომი წვრთნა და დაოსტატება.

ძირფესვიანად უნდა შეიცვალოს სოლისტებთან, ორკესტრთან და გუნდთან ყოველდღიური მუშაობის მეთოდები. მსმენელი მოითხოვს არა მარტო მომღერალ მსახიობს, არამედ მოთამაშე მომღერალ-აქტიორს; რეჟისორისაგან—სცენურ სიცოცხლეს, მხატვრულ დამაჯერებლობას, მდიდარ ფანტაზიას და, რაც მთავარია, საოპერო და სბალეტო სპექტაკლის აგებისას პარტიტურასთან აქტიურ, შემოქმედებით დამოკიდებულებას; მხატვრისაგან — დეკორაციული ხელოვნების მუსიკის სტილთან და კოლორიტთან შეიწყობა-შეხამებას.

მაყურებელს უყვარს თავისი საოპერო და სბალეტო თეატრი. მაგრამ თუ თეატრმა ერთხელ „გაიცივა“ თავისი დადგმებისადმი ინტერესი, მაყურებლის ყურადღების „გთბობა“ უფრო ძნელი საქმეა. ამ სიძნელეს თეატრი გადალახავს იმ შემთხვევაში, თუ ყოველ თავის წარმოდგენას სამუსიკო-დრამატული ხელოვნების ზეიმად გადააქცევს.

პავლე ხუმუა.

* * *

სურათზე: სცენა სპექტაკლ „ლუჩია დი ლამერმურიდან“: ლუჩია — ნ. ტუღუში, ჰენრიხი — ბ. კრავეიშვილი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

მკითხველის კალმით

□ სიღნაღის რაიონში კიდევ ერთი სიახლეა — ძველი ანაგის კოლმეურნეობამ საექსპლოატაციოდ გადასცა ახალი კეთილმოწყობილი კულტურის სახლი. ეს ერთ-ერთი ლამაზი არქიტექტურული შენობაა რაიონში. კულტურის სახლის ცენტრალური დარბაზი 500-მდე მაყურებელს იტევს.

ძველანაგელ მშრომელთათვის ეს საუკეთესო საახალწლო საჩუქარია.

თ. აბულაშვილი.

□ ხიდისთავის საშუალო სკოლის კეთილმოწყობილ ბინაში გაიხსნა წიგნის მაღაზია საზოგადოებრივ საწყისებზე. მაღაზიის ემსახურებიან საშუალო სკოლის წარჩინებული მოსწავლეები, იგი უზრუნველყოფილია საბავშვო ლიტერატურით, სახელმძღვანელოებით, სასწავლო ნივთებით. ახალი მაღაზიით ჩოხატაურელი ნორჩი მომხმარებლები დიდად კმაყოფილი არიან.

ა. კალანდაძე.

□ საჩხერის რაიონის სოფელი ცხრაკვეთი სულ უფრო კეთილმოწყობილი ხდება.

სოფლის მშრომელთა ინიციატივით და საკუთარი ძალებით აიგო პურის საცხობი, ამ დღეებში კი საექსპლოატაციოდ გადაეცა სასურსათო მაღაზიის კეთილმოწყობილი შენობა. სოფელში ახლახან დამთავრდა აგრეთვე წყალსადენის მშენებლობა.

დ. ბიწაძე.

„გაზაფხული“ მეჩაიეთა სცენაზე

მახარაძე. (საკ. კორ.). ამ დღეებში ლაითურის კიროვის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კულტურის სახლში მეჩაიეთა მოწვევით დიდი კონცერტი გამართა ბათუმის ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა და მოწაფეთა პარკის შემოქმედებითმა ანსამბლმა „გაზაფხული“ (მხატვრული ხელმძღვანელი საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ე. ნაბაძე).

მთელი წლის განმავლობაში მუშაობენ კურორტ გაგრის სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები. სურათზე: სანატორიუმ „საქართველოს“ დამსვენებელთა ჯგუფი.

ფოტო ი. ჭოხონელიძისა.

(საქმდესის ფოტოქრონიკა).

საგასტროლოდ უკრაინაში

ჭიათურა. (საკ. კორ.). „შახტმშენის“ სამმართველოს კლუბთან არსებული ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლი (მხატვრული ხელმძღვანელი — საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი მ. შუბაშვილი, ქორეოგრაფი ა. ცერცვაძე, ვოკალური ჯგუფის ხელმძღვანელი მ. კაპანაძე) მაყურებელთა ფართო პოპულარობით სარგებლობს. ანსამბლმა თავისი ხელოვნებით მოხიბლა არა მარტო ჭიათურელი მაყურებლები, არამედ აღაფრთოვანა შავი ზღვის კურორტთა დამსვენებლები და მოძმე ლატვიელი მეგობრები, რომლებთანაც გასულ წელს იყო სიმღერისა და ცეკვის დღესასწაულზე.

საახალწლოდ ანსამბლი საგასტროლოდ გაემგზავრა უკრაინაში. იგი ორ კვირას დარჩება დნეპროპეტროვსკის ოლქში. პირველად ჭიათურელები ესტუმრებიან მოძმე ნიკოპოლელ მაღაროელებს და მათ თავიანთ შემოქმედებას უჩვენებენ. გასტროლებს გამართავენ აგრეთვე კრივოი როგში, ჭ. მარგანეცში და დნეპროპეტროვსკის ოლქის სხვა ქალაქებში.

თეატრალური ქრონიკა

□ **ბათუმის** ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში მაყურებელმა მორიგ პრემიერად ნახა კარლ ვიტლინგერის ორმოქმედებიანი ტრაგიკომედია „ვარსკვლავიდან ჩამოფრენილი კაცი“, რომლის დადგმა ეკუთვნის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს შ. ინასარიძეს, მხატვრობა — ა. ფილიპოვს, მუსიკალური გაფორმება — გ. ნოლაიდელს.

ნ. პავლოვა.

□ **ორჯონიკიძის** რაიონის სახალხო თეატრის (რეჟისორი ო. აბაშიძე) საესტრადო კოლექტივმა საკონცერტო პროგრამით („მოგველოდით და მოვედით“) რაიონის თითქმის ყველა სოფელი შემოიარა, სულ 90 საღამო-კონცერტი გამართა.

ამას წინათ სახალხო თეატრმა თავის მორიგ პრემიერად მაყურებელს უჩვენა გ. სტეფანსკის ანტიფილიგიური პიესა „ჯადო“.

ს. ქათამაძე.

□ **ჟუთაისის** ფ. მახარაძის სახელობის რკინიგზელთა კლუბის დრამატულმა კოლექტივმა მაყურებელს უჩვენა ბ. ანანიაშვილის სამმოქმედებიანი კომედია „ღირსეული სასჯელი“. სპექტაკლი დადგა გ. ბერძენიძე.

ივ. გუხაიძე.

შემთხვევები

ბრძოლა ტყეში

ამ ტყის ბრძოლის ამბავი, რომელიც ახლახან მოხდა უსურიის ტაიგაში, საკდესის კორესპონდენტს აცნობა ზორეულლი აღმოსავლეთის ნაოსნობის შტურმანმა ნ. ჩერეკაკოვმა — ნადირობის ტროფიალმა, რომელიც თავისი შეეხვლებების დროს არა ერთი ტყის ბილიკი გაუკვალავს.

...ბილიკი ციცაბო ტყიან ფერდობს მიჰყვებოდა. ქვემოთ კი მოქუხდა მდინარე უსური. მონადირენი, რომლებიც ხშირ ბუჩქნარში მიიკვლევდნენ გზას, უცებ შეჩერდნენ. ბარდებში მათ თვალწინ შესანიშნავი სურათი გადაშალა.

ბატარა მინდორზე, გარეული ღორები ბალაობდნენ. ხავსებში კი გოჭები ნეიტრობდნენ. მამალი გარეული ღორი ვეფხვერთელა ფიქვის ძირებს ჩიჩქნიდა. მოულოდნელად მინდორზე ვეფხვი გადმოხტა. ტორით ერთი დარტყმით ხეოხვალი გადაუმტვრია ერთ ღორს და სხვებს დაერია. მამალმა გარეულმა ღორმა გაშალა გრძელი ეშვები და ვეფხვს შეუტია. გაიმართა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. გარეული ღორი ძლიერი და მოქნილი გამოდგა. იგი დაჰქროდა მინდორზე და თან ზუზგით დაათრევდა ვეფხვს. ვეფხვი ცბილებით ჩასჭიდებოდა ჯაგარში ღორს და ცდილობდა ძარღვები გადაეღრღნა მისთვის. გამწარებულმა მამალმა ღორმა ეშვები ატაკა ვეფხვს ფაშვში და ფიცხელი დარტყმით რბილწიწოვანას მიალურსმა. მტაცებელი, რომელიც სისხლით იცლებოდა, მოეშვა, ღორმა გაითავისუფლა ეშვები და ბარბაცით შეუერთდა ღორებს.

ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის დროს მონადირეებმა რამდენჯერმე გასროლეს ჰაერში, რათა დაეფრთხოთ გამძვინვარებული მეტოქენი, მაგრამ, ეტყობა, მათ სროლის ხმა ვერ გაიგეს და განგრძობდნენ ბრძოლას.

ვ. შევჩენკო.

(საკდესის კორ.).

ქ. ვლადივოსტოკი, 31 დეკემბერი.

ყინვები სომხეთში

ერევანი, 2 იანვარი. (საკდესის კორ.). არარატის ველი და სომხეთის დაბლობის სხვა ზონები თოვლით დაიფარა.

ორ იანვარს დილის რვა საათისათვის რესპუბლიკის დედაქალაქში თერმომეტრის ვერცხლის წყლის სვეტი 18 გრადუსს უჩვენებდა ნულს ქვეითი. როგორც საკდესის კორესპონდენტს აცნობეს სომხეთის სს რესპუბლიკის ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის სამმართველოში, ასეთი ყინვები ერევანში ამ დღეს უკანასკნელი 70 წლის მანძილზე მხოლოდ ერთხელ იყო — 1932 წელს.

ამ მოვლენას სინოპტიკოსები ხსნიან სომხეთის უღრუბლო ცაში ცივი ჰაერის მასის შემოჭრით ჩრდილოეთიდან, სადაც ამას წინათ ძლიერ აცივდა.

ამასთან 15-25 დეკემბერს აქ იყო არაჩვეულებრივად თბილი ამინდი. რესპუბლიკის ბევრ რაიონში ჰაერის ტემპერატურა 20-23 გრადუსს ნითბოს აღწევდა.

მთვარის იმვიათი დაბნელება

საინტერესო ამბების სამყაროში

უსურიისკი, 2 იანვარი. (საკდესის კორ.). ამ დღეებში ზღვისპირეთის პატარა ქალაქში უსურიისკში ჩვენი ქვეყნის წამყვანი რადიოასტრონომების ყურადღება მიიპყრო, როგორც ყველაზე მოხერხებულმა პუნქტმა მთვარის სრული დაბნელების დაკვირვებისათვის. ამ მიზნით აქ ჩამოვიდა სამეცნიერო ექსპედიცია. ქალაქის ცენტრში კულტურისა და დასვენების პარკის დათოვლილ ხეივნებში დადგეს და მთვარეს დაუმიზნეს უნიკალური რადიოტელესკოპები. 30 დეკემბერს 19-დან 24 საათამდე ექსპედიციის მონაწილეები აწარმოებდნენ მთვარის რადიოდაბნელების მნიშვნელოვან დაკვირვებებს, მათ მიიღეს დედამიწის თანამგზავრის საახალწლო რადიომისალმება.

მთვარის რადიოგამოსხივების სისტემატურ შესწავლას ჩვენი ინსტიტუტის მეცნიერები უკვე ათი წელიწადია აწარმოებენ, — განუცხადა საკდესის კორესპონდენტს ექსპედიციის ხელმძღვანელმა, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატმა ვ. ნ. ნიკონოვმა. — ამ კამოკვლევათა მთელი კომპლექსი, რომელსაც ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვ. ს. ტროიცკი ხელმძღვანელობს, მთვარის ზედაპირის სტრუქტურის გამორკვევას ემსახურება. მასალებს, რომლებიც ჩვენ 30 დეკემბრის მივიღეთ, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ, რადგან მსოფლიო მეცნიერებისათვის აქამდე მხოლოდ მთვარის რამდენიმე რადიოდაბნელება არის ცნობილი.

დაბნელების დროს მიღებული მთვარის რადიოდაზვერვის მონაცემების დამუშავება საშეალებას მოგვცემს დავაზუსტოთ ცნობები მისი ზედაპირის შემადგენლობის შესახებ. დაგვეხმარება განვსაზღვროთ პირველი საალენტათშორისო ხომალდების მთვარეზე დაშვების პირობები.

უსურიისკის ასტრონომიული სადგურის სპეციალისტები, რომლებიც მთვარის დაბნელების დაკვირვებას აწარმოებდნენ, აღნიშნავენ, რომ 1963 წლის 30 დეკემბრის მთვარის დაბნელება უჩვეულო ხასიათისა იყო. დაბნელებული მთვარის სიკაშკაშის 65 შეფასება, რომელიც მათ მოახდინეს, მეტყველებს, რომ დედამიწის ჩრდილი ძალიან მუქი იყო, მას არ ახლდა ჩვეულებრივი მოწითალო ელფერი: დაბნელების შუაგულის ახლო მთვარე შეუფარაღებელი თვალით ძლივს მოჩანდა ცაზე. წინა დაბნელებებთან შედარებით, მისი სიკაშკაშე ასჯერ უფრო ნაკლები იყო.

ასეთი ტიპის დაბნელება უკანასკნელ 150 წლის მანძილზე სულ ოთხჯერ განმეორდა: 1816, 1884, 1885 და 1902 წლებში.

ჰაბესი რეკორდს „ეზომება“

ნიუ-იორკი, 2 იანვარი. (საკდესი). სსრ კავშირ-ამერიკის შეერთებული შტატების მძლეოსანთა მატჩის მონაწილემ ამერიკელმა მორბენალმა რ. ჰაიესმა, რომელსაც იცნობენ საბჭოთა სპორტის მოყვარულები, მაიამაში „ფორთოხლის თასის“ ტრადიციულ შეჯიბრებაში 100 იარდი გაირბინა 9,1 წამში. ეს მსოფლიო რეკორდის განმეორება იქნებოდა, რომელიც მასვე ეკუთვნის, რომ სპორტსმენს „არ დახმარებოდა“ ზურგის ქარი. ქარის სიჩქარე დრო და დრო 5 მეტრს აღწევდა წამში. გარბენის შემდეგ ჰაიესმა განაცხადა: „მე საბოლოოდ მაინც გადავლახავ ცხრა წამის ბარიერს“.

ფერადკანიანმა სპრინტერმა მეორე გამარჯვება მოიპოვა 220 იარდ დისტანციაზე (სარბენი ბილიკი, რომელსაც მოსახვევები არა აქვს). მისი დროა 20,1 წამი.

ამავე შეჯიბრებაზე გ. გუბრნერმა ბირთვი ჭერა 18 მეტრსა და 18 სანტიმეტრზე, ხოლო მსოფლიო რეკორდსმენმა დ. ენელმა ჭოკით ხტომაში დაძლია 4 მეტრი და 88 სანტიმეტრი.

ნონა — საქართველოს კომკავშირის ყრილობას

ჰასტინგსის საჭადრაკო ტურნირის გუშინდელი ტურის შედეგები რედაქციისათვის შედარებით ადრე იყო ცნობილი მსოფლიოს ექს-ჩემპიონ მ. ბოტვინნიკის დამარცხებით, რომელსაც ამავე ნომერში ვბეჭდავთ. მოგვიანებით ჩვენ მაინც დავუჟავშირდით მსოფლიოს ჩემპიონს ნ. გაფრინდაშვილს.

მან ჩვეული მორიდებით ილაპარაკა საკუთარ თავზე და კერძოდ გუშინდელ პარტიაზე. სინანული გამოთქვა იმაზე, რომ ვერ ესწრება საქართველოს კომკავშირის XXV ყრილობას, რომლის დელეგატიც იგი არის. ამასთან დასძინა, რომ გუშინდელი გამარჯვება იუხესთან (აფრ) მიუძღვნა კომკავშირელთა დიდი ფოროუმის გახსნას.

გთხოვთ, — თქვა მან, — გაზეთ „კომუნისტის“ საშუალებით ჩემი კომკავშირული სალამი გადასცეთ ყრილობის დელეგატებს. მე აქ, სამშობლოდან დაშორებულ უცხო ქვეყანაში ძალასა და ცოდნას არ დავიშურებ იმისათვის, რომ ტურნირი წარმატებით დავამთავრო, რომ ღირსეულად დავიცვა საბჭოთა მოჭადრაკის, მითუმეტეს მსოფლიოს ჩემპიონის მაღალი წოდება.

ლიდერი

3. სმისლოვი

ახალი სპორტული სეზონის მეკვლენი პირველ რიგში მოჭადრაკეები იყვნენ. ერთ-ერთ საინტერესო ტურნირს წარმოადგენს სტოკჰოლმის პაექრობა. აქ ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლები არიან მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ვასილი სმისლოვი და გროსმაისტერი ისაკ ბოლესლავსკი.

უკვე გათამაშდა ექვსი ტური. წარმატებით იბრძვის მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ვ. სმისლოვი, რომელმაც ხუთი პარტია მოიგო, მხოლოდ ერთი შეხვედრა დაამთავრა ყაიმით და 5,5 ქულით ერთპიროვნული ლიდერია.

ტაბელი

1.	სმისლოვი	+	+	+	+	+	=	5	5,5
2.	ბოლესლავსკი	=	=	=	+	+	+	3	4,5
3.	ბოტვინნიკი	=	=	=	=	=	+	1	4
4.	ბოლოგანი	=	=	=	=	=	=	0	3,5

ბოლოდროინდელ ამბავი

ბ. ბოტვინნიკი — ბ. ბოლოგანი 1:5